645
1990/2



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

11
1990

ISSN 0321-1509

მთავარი რედაქტორი
მარიკა
ბარათაშვილი

Главный редактор
МАРИКА
БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია:

ნელი ზურგენიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნაზი თარგამაძე, ლია კაკაბაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ზინაიდა კვაჭაძე, ნაზი კილასონია, თამარ ლაშქარაშვილი, ქეთევან ლომთათიძე, ცინარა ტერელაძე (მხატვრული რედაქტორი), ნადია შალუტაშვილი, ლუბა შეწირული, ირმა ჩოფიკაშვილი, ნინო ჯავახიშვილი, ეთერ ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდებზე სპარტაკ ჯანიაშვილის ფოტორეპორტაჟი საქართველოს პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიიდან.

ძვირფასო ავტორებო! გთხოვთ 6 ნაბეჭდ გვერდზე ვრცელ წერილს ნუ შემოგვთავაზებთ.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. № 14.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. М. Костава, 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, ул. М. Костава 14.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება

## საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ

საქართველოს უზენაესი საბჭო **ა დ გ ე ნ ს:**

არჩეულ იქნეს საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ დეპუტატი **ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია.**

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
**ზ. გამსახურდია**

თბილისი. 1990 წლის 14 ნოემბერი

## ჩვენი მილოცვა

ჟურნალ „მანდილის“ რედაქციის კოლექტივი და მრავალათასიანი მკითხველები გულწრფელად ულოცავენ ბატონ ზვიად გამსახურდიას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე არჩევას.

# მიმართვა
# სრულიად საქართველოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფასო თანამემამულენო!

1990 წლის 14 ნოემბერს თავისი ძნელი, მაგრამ ფრიად საპატიო მოვალეობის აღსრულებას შეუდგა დემოკრატიული წესით არჩეული მრავალპარტიული ეროვნული პარლამენტი. საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ ნდობის მანდატით აღჭურვილი ეს უზენაესი საკანონმდებლო ორგანო უეჭველად იქნება ჩვენი ეროვნული ნებისა და მისწრაფებების ჭეშმარიტი გამომხატველი.

გრძნობს რა შექმნილი მდგომარეობის ისტორიულ მნიშვნელობას, საქართველოს უზენაესი საბჭო თავის უპირველეს ამოცანად მიიჩნევს დაუშრომლად იღვაწოს გარდამავალი პერიოდის სპეციფიკით ნაკარნახევ პრობლემათა გადაჭრისა და ქვეყანაში შექმნილი მრავალმხრივი კრიზისის დაძლევისათვის. სწორედ ამ გზით უნდა შევამზადოთ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის აუცილებელი რეალური საფუძველი.

ერისა და პიროვნების სრული თავისუფლების დამკვიდრება ყოველი ჩვენგანის სანუკვარი მიზანია. მაგრამ აღნიშნული მიზნის მიღწევა შეუძლებელია ეროვნული თანხმობის, ურთიერთთანადგომისა და ურთიერთპატივისცემის გარეშე.

საქართველოს კეთილდღეობისათვის დღეს ჰაერივით საჭიროა ერთიანობა და სიმტკიცე, შემწყნარებლობა და მიმტევებლობა, ნებისმიერ პარტიულზე მაღლა ეროვნული ინტერესების დაყენება.

ჩვენ, პარლამენტში არჩეული სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები, საჯაროდ ვაცხადებთ, რომ განუხრელად ვიხელმძღვანელებთ საერთო-ეროვნული და არა ლოკალურ-პარტიული მოტივებით. ამგვარივე მოწოდებით მივმართავთ საქართველოში არსებულ ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციას.

ამჟამად, დამოუკიდებლობის გზაზე მდგომ საქართველოში ფაქტობრივად არ არსებობს შუღლისა და ურთიერთდაპირისპირების რამდენადმე სერიოზული მიზეზი. საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის შეუქცევადი პროცესი სრულად უზრუნველყოფს პიროვნების უფლებათა ხელშეუხებლობას, ყველა სოციალური ფენის ინტერესთა დაცვასა და ეროვნულ უმცირესობათა ყოველმხრივ განვითარებას.

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია ნათელყოფს, რომ ჩვენში არასოდეს შელახულა ამა თუ იმ ეროვნების ინტერესები. ამჟამადაც გარანტირებულია მათი შეუვალობის ყველა პირობა, მათ შორის ავტონომიურ უფლებათა აღიარება და პატივისცემა.

თანამემამულენო!

საქართველოს უზენაესი საბჭო მიმართავს ყველას, ვისაც გულწრფელად აფიქრებს სამშობლოს ბედი, დადგეს ეროვნული შერიგების პოზიციაზე. მხოლოდ მტკიცე თანხმობა და ერთიანობა იხსნის საქართველოს, მიგვიყვანს ჭეშმარიტ დამოუკიდებლობამდე. ძმათა შორის შუღლის ჩამოგდება ახლა ღალატის ტოლფასია. ერთიანი საქართველო უნდა იყოს თითოეული ჩვენგანის უპირველესი საზრუნავი. ამ ერთიანობის მისაღწევად წმინდა ილია მართალმა თავის დროზე ნათელმხილველის კეთილგონიერებით მოგვიწოდა.

,,მოგიკლათ წარსულ დროებზე დარდი
ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს"...

დაე, ჩვენც, ახლანდელ ქართველობას, გვიღვიოდეს სურვილი წარსულზე ამაღლებისა, თვისტომის სიყვარულისა და უფლის ერთგულებისა.

ღმერთი იყოს სრულიად საქართველოს მფარველი!

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

მარიკა ბარათაშვილი

# სოფელზე ფიქრით...

სოფლის განსაკუთრებული სიყვარული, ვფიქრობ, დაბადებიდანვე დამყვა თან. ყოველ შემთხვევაში, მაშინ გავიცნობიერე, მამასთან ერთად ცხენზე შემომჯდარი ჭიათურიდან სოფელ ნავარძეთში ბებიასთან რომ გადავდიოდი ხოლმე. ეს იყო ბედნიერი სასწავლო არდადეგები და ჩემი „პედაგოგიური მოღვაწეობის" დაუვიწყარი დღეები — 7-8 წლის ვიქნებოდი, სოფლის ბავშვებს რომ ჩვენს ეზოში თავს მოვუყრიდი და სკოლაში მიღებულ ცოდნას ვუზიარებდი, თან ვცდილობდი მიმებაძა ჩემი საყვარელი მასწავლებლისათვის!

მაშინ სოფელს არც სკოლა ჰქონდა, არც გზა, არც შუქი, არც წყალი და ვხედავდი, რა გაჭირვებით ამოჰქონდათ დაბლა ხევიდან ქალებს წყალი, მხარზე შემოდგმული ჩაფებით, როგორ ამოდიოდნენ გვიან ღამით მაღაროებიდან დაბრუნებული მუშე-



საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბი 2-3 კილომეტრიან ციცაბო ალმართებზე, თავიანთ ჩაბნელებულ სოფელში, ღარიბულ ქოხებში.

უჭირდა, ძალზე უჭირდა სოფელს და მაინც იმ ღარიბული ქოხების ჭერქვეშ სისხლსავსე ცხოვრება იყო 8, 9, 10 და ზოგჯერ მეტი ბავშვის ჟივილხივილი და ქალების ხალისიანი გადაძახილ-გადმოძახილი ისმოდა. ხანდახან თუ რომელიმე თანასოფლელის მაღაროში დაღუპვის ამბავი შესძრავდა სოფელს და ეს იყო ერთობლივი გლოვა-წუხილი. არც კი მსმენია, რომ ჩვენი სოფლის სიმშვიდე და ღირსება ვინმე ლოთს, უქნარას, ბოროტმოქმედს ხელეყოს, იმერელი კაცის სახელი შეერცხვინოს.

რარიგ მიყვარდა ჩემი სოფელი, თავისი გამრჯე, კეთილი, კაცთმოყვარე, შრომისმოყვარე, სტუმართმოყვარე ადამიანებით!

მაშინ ზღაპრებისა მჯეროდა და რამდენი მიოცნებია ვყოფილიყავი ზღაპრული მზეთუნახავი, რომ ქალებისთვის მხრებიდან ჩაფები ჩამომეხსნა, ბავშვებისთვის სკოლა გამეხსნა, სოფლისთვის გზა, შუქი მიმეცა.

მოგვიანოდ, სინამდვილემ ნაოცნებარს გადააჭარბა: იმ ქოხების ადგილზე კეთილმოწყობილი სახლები წამოიმართა, თითქმის ყველა ჭერქვეშ აციმციმდა ტელეეკრანები, ბევრ ჭიშკართან მსუბუქი ავტომანქანაც ჩამოდგა... მაგრამ რად შემომკვნესის მაინც გული?

ჩემს სოფელში უწინ იყვნენ ოჯახებისა და ერის საიმედოდ მჭიდროდ დასახლებული საგვარეულოები: კევლიშვილების, ჭანკვეტაძეების, ჟიფშიძეების, კაპანაძეების, კუჭაშვილების და სხვა... იყო ბარათაშვილების პატარა უბანიც. მაგრამ ამ საგვარეულოებიდან და უბნებიდან ზოგი ოჯახი გადააშენეს, ზოგი — მახინჯი ეკონომიკის წყალობით — თავად დაადგა გადაშენების გზას, ზოგი სად აღარ გაიფანტა და აქაც ისევე, როგორც ყველგან, მთელს საქართველოში, დაიშალა საგვარეულოები, აიჭედა კარ-ფანჯრები, გაუკაცრიელდა კარ-მიდამოები...

გალატაკებულმა სოფელმა ქალაქს მიაშურა და „გალიებში" გამოიკეტა, უგლეხკაცოდ დარჩენილმა კოლმეურნეობებმა გააუდაბურეს სავარგულები.

დიდი ხოდაბუნები ზემო იმერეთს არც გააჩნდა, ხოლო საქართველოს სხვა რეგიონებში, იქ, სადაც „ერბოსავით" სახნავსათესი გვაქვს, სხვისმა ჭკუამ იმძლავრა, „ინტერნაციონალიზმიც" დაეხმარა და... დაძაბუნდა, ზოგან სულაც დაწყდა სოფლის ნიადაგში ღრმად გადგმული, საქართველოს სასიცოცხლო ფესვები, მოიშხამა და გამოიფიტა მარჩენალი მიწა. არადა სოფელი არა მარტო გვარჩენდა, სოფელი იცავდა და ინახავდა ჩვენს დიდებულ ტრადიციებს, მშობლიურ ენას, ერის იერსახეს, სინდის-ნამუსს, სახელსა და ღირსებას.

ეტყობა, იმ ფესვების მოკვეთა იყო აუცილებელი, ერთამეობის, თვითმყოფადობის დასაკარგავად, ინტერნაციონალიზმის გასამარჯვებლად. და კიდეც გაიღო ფართო კარი და სოფლის უპერსპექტივობით დაშინებულმა მშობლებმა ქალაქებისაკენ დაულოცეს გზა შვილებს, შვილიშვილებს, შვილთაშვილებს და არამარტო საქართველოს ქალაქებისაკენ — ვისაც სად როგორ ეცხოვრება, ვისაც სად შეუძლია იოლად უმაღლესის დიპლომისა ან სარფიანი სამუშაოს შოვნა.

ერთერთმა ჩვენებურმა პედაგოგმა ქალმა სიამაყით მითხრა: სამი ვაჟკაცი მყავს, მათგან ორმა რუსეთში მიიღო უმაღლესი ცოდნა, იქვე დასახლდა, დაოჯახდა და ახლა მესამეც ძმების კვალს მიჰყვებაო...

რამდენიმე წლის წინათ ტელევიზიით შორეული ჩრდილოეთის ერთ-ერთი ქართული დასახლება გვიჩვენეს. დირექტორი აღტაცებით გვიყვებოდა, რა დიდებული პირობები აქვთ იქ მცხოვრებ ქართველებს: კარგი ბინები, ქართული სკოლა და სხვა. რომ ახლახან გაიხსნა მათი პატარებისათვის საბავშვო ბაღიც — ბაღის ლობესთან ორმოციოდე ქართველი გოგო-ბიჭი მოჯარულიყო...



გასული ათწლეულების განმავლობაში ქართული სოფლის ათეულ ათასობით ახალგაზრდამ მიაშურა რუსეთის ინსტიტუტებს. ინსტიტუტებმაც, გარკვეული მიზნით ფართოდ გაუღეს კარი. ბევრმა მათგანმა გვასახელა და მშვიდობით დაგვიბრუნდა, მაგრამ რამდენი აცდა გზას, რამდენი ოჯახის ერთადერთი იმედი და მომავალი სამუდამოდ დამკვიდრდა უცხო მხარეში, ან სულაც უსახელოდ დაიღუპა...

„სადაურსა სად წაიყვან, სად აღუფხვრი სადით ძირსა" — მისტიროდა და მისტირის დედასაქართველო, მისი ისტორიული ბედუკუღმართობით უცხოურ ცის ქვეშ გასახლებულებს ფუ გაქცეულებს...

ჩვენს მამულს კი ამ დროს სხვები ეპატრონებოდნენ, ზოგჯერ რომელიმე გამოფხიზლებულ ან სტიქიისაგან დარბეულ, უსახლკაროდ დარჩენილ ქართულ ოჯახებს იარაღასხმულნი ხვდებოდნენ, რომ მათს კუთვნილ, ქართულ მამა-პაპის სახელით გაჟღენთილ მიწასთან არ მიეშვათ.

რას იზამ, ძალა აღმართსა ხნავდა... ჩვენც გულში თუ ეტიროდით, თორემ ხმამაღლა, მთელი მსოფლიოს გასაგონად გავყვიროდით: „ინტერნაციონალისტები" ვართ, საქართველოში ასი ეროვნების ხალხი ბინადრობს, ჩვენს დედაქალაქში"...

— თქვენი დედაქალაქი ინტერნაციონალისტურია, არა? — მეკითხება ერთი უცხოელ ტურისტთა ჯგუფის თარჯიმანი მოსკოველი ქალი.

— ისევე, როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქი.

სტუმარს შევატყვე, ჩემი პასუხი არ მოეწონა.

სწორედ ამ ყბადაღებული ინტერნაციონალიზმისაგან თავგაბეზრებული მოვაშურებდი ხოლმე ჩემს ყველაზე შეურყვნელად გადარჩენილ ზემო იმერეთს, მაგრამ მერე და მერე ვეღარც მისი ხილვა მესალბუნებოდა... და ამის მიზეზი აქაურობისთვის ყოვლად გაუმართლებელი, მაგრამ ცენტრის მიზნებისათვის დიალაც რომ გამართლებული იდეები იყო, პირველი: საჩხერეში ბამბეულის კომბინატის აშენება (მაშინ, როცა ზემო იმერეთს გრამი საკუთარი ბამბა არ აბადია), შუა აზიიდან ნედლეულის შემოზიდვის ხარჯზე, ხოლო მასთან ერთად დიდი რაოდენობით სპეციალისტებისა და მუშების ოჯახებითურთ რუსეთიდან საჩხერეში ჩამოსახლება.

მეორე: სოფელ პერევისაში სამხედრო ქარხნის და მესამე: მდინარე ყვირილას ღრმა ხეობაში დაბალი ხარისხის მანგანუმის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა. ეს უკანასკნელი არა მარტო დემოგრაფიულ, არამედ დიდ ეკოლოგიურ საფრთხესაც შეუქმნიდა ისედაც დაზარალებულ, ყვირილას ხეობის ფერდობებზე შეფენილ სოფლებს და თავად ჭიათურასაც.

მართალია, ამის საბადლოდ ქალაქს და მისი ზონის მოსახლეობას ცენტრი 60 მილიონ მანეთს ჰპირდებოდა, მაგრამ — ადამიანთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ფასად! მანგანუმის კომბინატისა და ქალაქის ხელმძღვანელობა წლების განმავლობაში შეისწავლიან ამ პრობლემას, მეცნიერები ატარებენ ცდებს, აქვეყნებენ წერილებს და ირწმუნებიან, რომ ეს ქარხანა სიკეთის მეტს არაფერს მოგვიტანს, მაგრამ ყველამ ვიცით, რა „სიკეთე" მოუტანა მოსახლეობას ვაკეზე გაშენებულმა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ და ახლა მსგავსი საწარმოს აშენება და ისიც ყვირილას ხეობაში? განა არ კმარა, რაც სიცოცხლე შეიწირა მაღაროებმა? მცირე ზიანი მოაქვს ადამიანთა ჯანმრთელობისათვის მადნეულის ღია კარიერებს? არა კმარა, რაც მანგანუმის წარმოებამ — მისი გეგმების სავალდებულო და გადაჭარბებით შესრულებამ ძირი გამოუთხარა და დაასამარა ზემო იმერეთის ულამაზესი სოფლები?

გული მტკივა, როდესაც ვხედავ, როგორ შეიცვალა იერსახე ჩემმა შავგვრემანმა, „შავი ოქროს ქალაქმა". მისი მთების უბეები თეთრადაა გადახსნილი, რადგან ახლა კიდევ მაღალხარისხოვანი სილის საბადოები აღმოჩნდა მათს წიაღში და სილის ექსპლოატაციას ეწირება საჩხერე ჭიათურის ზონის სოფლები. ამას წინათ ტელემაყურებელი შესძრა საჩხერის მცხოვრებთა

ტრაგედიამ, იმერელი გლეხკაცის ნაფერებ-ნალოლიავების, მისი იმედისა და მარჩენალის, ახლა ჩაქცეული კარ-მიდამოს ხილვამ.

ნასოფლარების მძიმე სურათი არც მანგანუმის კომბინატის და არც ადგილობრივი ხელისუფლების თვალსა და გულს ახარებს. ისინი არაფერს ზოგავენ ნიადაგის რეკულტივაციისათვის, მაგრამ იმ სოფლების კვლავ გაცოცხლება, დამშვენება და დასახლება არც თუ ადვილია.

მახინჯმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ სხვა სატკივრებიც გაუჩინა საქართველოს, ქართულ სოფელს. საერთოდ, ქართულ სოფლებზე მოგახსენებთ, სადღაა მისი გულითადობა, სითბო, უშუალობა და უბრალოება! შეირყვნა ადამიანის ბუნება, გადასხვაფერდა ზნეობრივი ფასეულობანი. ყალბი თავმოწონება, ყოყოჩობა, სიხარბე და მომხვეჭელობა — აი, მოძალებულ მანკიერებათა არასრული სია.

მარჩენალი მიწის მოვლა ლამის საძრახის საქმედ იქცა. სამაგიეროდ იმძლავრა სხვა თავმოსაწონმა: ქონებისა და დიპლომების შოვნაში (სულ ერთია რა გზით!) სმა-ჭამაში, სარფიან ქელეხ-ქორწილებ-დღეობებში, სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაწვევისა თუ ჯარიდან დაბრუნების ზეიმების გამართვაში და ერთმანეთის ხელის გამართვაში ყოველგვარ ზომას გადაცილებულმა შეჯიბრებებმა, სადაც გაჭირვებული ოჯახიც ფეხისწვერზე დგება, რომ შეძლებულმა არ აჯობოს და ეზოს ჭიშკართან მოსული, თანასოფლელის ჭირსა თუ ლხინში მოპატიჟის დანახვა შიშის ზარსა სცემს.

ჭირსა თუ ლხინში ადამიანების მხარში ამოდგომა ჩვენი მართლაც დიდებული ტრადიციაა. ყოველთვის ეხმარებოდა ადამიანი — მეზობელს, ნათესავს, მეგობარს ქორწილის, ქელეხის თუ „სახლის გადახურვის" დროს. მაგრამ ეს იყო რაღაც მცირე განსაზღვრული თანხა, რაც არც მის საოჯახო ბიუჯეტს დაანგრევდა. ასევე ბუნებრივი იყო სამძიმარზე შორიდან მოსული ხალხისათვის ლუკმის გატეხვა და მიცვალებულის მოსახსენებელი ჭიქის აწევა. ახლა დილიდან გვიანობამდე ჭირისუფლის ეზოში სუფრა არ ლაგდება. ვის სჭირდება ეს? მიცვალებულის სულს, ჭირისუფალს თუ მათ, ვინაც ამ დამატებით „ბეგარაში" შეჯიბრებიან ერთმანეთს? (ეს ერთობლივი სურათია საქართველოს სოფლების ცხოვრებისა).

შეჯიბრება მრავალშვილიანობასა თუ შვილთა კეთილზნეობით აღზრდაში სულ სხვა, ახალი, ქართველი ერის, ქართული ოჯახის და ქართველი კაცის ბუნებისათვის შეუფერებელი ინტერესებით შეიცვალა. ადამიანმა უარყო ღმერთი, წმინდა ეკლესია, დაკარგა ზენაარსის რწმენა და იმედი, დაივიწყა, რომ ამ ქვეყნად სიკეთის საქმნელად არის მოსული. თუ ეს თავად დაივიწყა შვილს რაღას ასწავლიდა?

რამდენიმე წლის წინათ ავჭალის მოზარდთა კოლონიაში ვიყავით, დამნაშავეთა ამნისტიის მისადაგებით განთავისუფლებაში ვმონაწილეობდით. პატიმართა შორის ბევრი იყო სოფლელი მოზარდიც, მეტწილად პირველდამნაშავენი — ისეთებიც, ვთქვათ, ჯიხურიდან ერთი-ორი ფილა შოკოლადი რომ მოეპარათ. ახლა ისინი შრომით გასწორების კოლონიაში, რამდენიმეჯერ ნასამართლევ, დახელოვნებულ ბოროტმოქმედებთან ერთ ქვაბში ჩაყრილნი ერთად იხდიდნენ სასჯელს. და ვინ იცის, ასეთ პირობებში რამდენი ათასი ახალგაზრდა დაგვეღუპა — ისეთები, რომელთა გამოსწორება და კეთილ გზაზე დაყენება შეიძლებოდა...

სინამდვილემ არაერთხელ დაგვარწმუნა, რომ მრავალი ბოროტების სათავე ტრადიციული ქართული ოჯახის, საგვარეულოებისა და სოფლის მოშლაში უნდა ვეძიოთ. ოჯახის ზნეკეთილ ტრადიციებზე აღზრდილი, ნათესავებისა და სოფლის თვალწინ ნაკლებად თუ შეირცხვენს თავს.

...და აი, ათასგვარი „იზმების" ტყვეობიდან თავდახსნილები ვცდილობთ სალბუნი მოვუნახოთ ჩვენს იარებს, რომელთა შორის უპირველესი სოფელია. უნდა ვუშველოთ მას — ჩვენს მშობელსა და მარჩენალს. რათა ისევ მან — ჩვენმა ადგილის დედამ დაგვაძლევინოს ურბანიზაციის სენი, გახურებულ შუბლზე დაგვადოს გრილი ხელი, მოგვცეს ძალა, მხნეობა, გაგვახსენოს მოყვასის სიყვარული, სიკეთე, კაცთმოყვარეობა, პატიოსნება.

სოფლის კვლავ ფეხზე დაყენება რომ ერის სასიცოცხლო საქმეა, ამას ყველა ვხედებით. საქართველოს თავისუფლებისათვის დიდ ეროვნულ მოძრაობაშიც ძალუმად იგრძნობა სოფელზე ფიქრი, მის კვლავ აღშენებაზე ზრუნვა, გზების ძიება...

ჩვენი ქართული სოფლის მომავალზე რომ ვფიქრობ, მალიმალ მაგონდება წლევანდელ „სახალხო განათლების" 15 მარტის ნომერში გამოქვეყნებული, მხატვარ-დიზაინერ შალვა ქაჯარავას „წრიული სოფლის" პროექტი. არა მგონია, ვისაც სოფელზე გული შესტკივა, გულგრილი დარჩეს ამ მართლაც „სოფელ-სამოთხის" პროექტის მიმართ. და ვის, თუ არა ჩვენ, ქალებს გვმართებს, შევხაროდეთ ქართული ოდის გამაგრება-განმტკიცებას, საქართველოს ფესვების კვლავ გაძლიერებას, ჩვენს ჭერქვეშ აკვნის რწევას, ჩვილის ღუღრტულს, და ბოლოს განა ბედნიერება არ არის ვიყოთ დამშვიდებულნი, რომ ჩვენი კვლავ აღდგენილი, მომძლავრებული საგვარეულოების ურთიერთ გვერდში ამოდგომით შევძლებთ შთამომავლობის მკვიდრ, ჯანსაღ ფუძეზე დამკვიდრებას?

ეს პროექტი საქართველოს სულიერი ამაღლების, მისი ზნეობრივი განსპეტაკებისათვის ოცნების მშვენიერი ნაყოფია, რადგან ის გვაბრუნებს დედაბუნების უბეში, გვაახლოებს სიცოცხლის შემოქმედთან.

პროექტმა ბევრი მოხიბლა და გაიტაცა, მოითხოვენ მიწებს ახალი სოფლების მშენებლობისათვის. გადაწყვეტილი აქვთ, ყოველ რაიონში თითო საჩვენებელი სოფლის აშენება — რა თქმა უნდა ამა თუ იმ რაიონის რელიეფის გათვალისწინებითა და პროექტის სათანადო კორექტირებით.

საქართველოში თუ მის გარეთ გაფანტული საგვარეულოების წარმომადგენლები ეძებენ ერთმანეთს, ადგენენ სიებს, მოითხოვენ მიწებს ერთად დასასახლებლად.

ერთმანეთის გვერდით დასახლებაზე ოცნებობენ მეგობარი ოჯახებიც.

შესანიშნავი პერსპექტივები ესახებათ საბავშვო სახლებში აღზრდილ მკვიდრი და--ძმებივით თანშეზრდილ ახალგაზრდებსაც, რომლებიც იმედია, თავიანთი სოფლის ჭერქვეშ თითოოროლა უპატრონო მოხუცსაც შეიფარებენ.

...ახლა ოცნებით მივდევ სამომავლო გზას ზესთ წყობით აგებულ-დამშვენებული წრიული სოფლისაკენ.

საგვარეულოს ჭიშკართან ქართველის დედა შემომეგება (ოღონდ (უხმლოდ!) და შინ შემიპატიჟა.

მასთან ერთად მოვიარე ქართულ ტრადიციულთან — მის არქიტექტურასთან, ეთნოგრაფიასთან მტკიცედ შერწყმული, თანამედროვე სურვილებისა და გემოვნების გათვალისწინებით აგებულ-დამუშავებული საგვარეულოს სახლ-კარი — სამუშაოდ, საძილოდ, სასტუმროდ თუ გასართობად მოწყობილი ოთახები.

მოვინახულე სამლოცველო, ჭირისა და ლხინის დროს თავშესაყარი საგვარეულო მოედანი, სასაფლაო. ვისიამოვნე ძველებური კერამიკის, ხისა თუ ლითონის ნაკეთობებით დამშვენებული დარბაზების, სამზადის, ბეღლის, ჭურ-მარნის ხილვით.

დიდებულად დაგეგმილი მწვანე ეზო, ხეხილის ბაღი, ყვავილნარი...

...ცხრათვალა მზე იჭვრიტება ლობეების ირგვლივ ჩარიგებული ალვების, ჭადრების, ცაცხვების სარკმლებიდან.

ასალამურდა. ნაჯაფი ადამიანები შემოსხდომიან აივანზე გაშლილ სუფრას და ეზოში შემოსულ მეზობელ-ნათესავებს აქეთ ეპატიჟებიან.

პატარები ძილში მიყუჩებულან. დედები ჩვილებს იავნანას დაღუღუნებენ. საიდანღაც მოდის გიტარის ხმები და დები იშხნელების მადლიანი სიყვარულის საგალობლები.

მთვარე იდუმალების სამოსელში ხვევს გარემოს.

ჩემი ოცნების სოფელ „სამოთხეში" ვარ.

# ღმერთი არს ჩვენთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სიყვარული რომ არ მაქუნდეს არვე რა ვარ“ — ამბობს ერთ-ერთი ნეტარი მამა. როგორია უფლისეული სიყვარულის ცნება?

როგორ გაზარდოს ქართველმა ქალმა შვილი რომ იგი იყოს ჭეშმარიტი მატარებელი ქრისტიანული სარწმუნოებისა?

ბოლო დროს საქართველოს მოეძალა „კაენის ცოდვა“, ძმის მიერ სასიკვდილოდ მეორე ძმის გამეტება. როგორ დავთრგუნოთ ეს მომაკვდინებელი ცოდვა?

„სიკეთის ნერგი იხარებს, დარგო თუნდ სიპსა ქვაზედა“, გვმოძღვრავს ქართული კლასიკური ლიტერატურა. რა არის სიკეთე, როგორია ქრისტიანულად „კეთილი კაცის“ ცნება?

როგორი უნდა იყოს ქრისტიანული ქართული ოჯახი?

რედაქციამ გაითვალისწინა მკითხველის დიდი ინტერესი რელიგიისა და ქრისტიანული სარწმუნოებისადმი და გადაწყვიტა ამიერიდან ჩვენი ჟურნალის ფურცლები დაუთმოს თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის რექტორ-პროტოპრესვიტერის მამა გიორგის — **გიორგი გამრეკელის** საუბრებს.

მეოცე საუკუნეს ახასიათებს გლობალური კრიზისები: ეკოლოგიური, დემოგრაფიული, პოლიტიკური, სოციალური, ენერგეტიკული, ყველაზე მეტად კი — სულიერი, სარწმუნოებრივი და ზნეობრივი კრიზისი, როგორც დისჰარმონია, ერთობის დარღვევა, მთლიანი მოვლენის სხვადასხვა ნაწილების ერთმანეთთან დაპირისპირება, შედეგი სიყვარულის უკმარისობის... ბოლო ჟამის ნიშნად უფალი ასახელებს სიყვარულის შემცირებას: „განმრავლებითა უსჯულოებისათა, განხმეს სიყვარული მრავალთა“ (მათე, 24, 12).

სიყვარულით არის დაკავშირებუბული ადამიანი ღმერთთან, მოყვასთან, მშობელთან, ცოლთან, შვილებთან, სამშობლოსთან, ბუნებასთან, ყოველ ქმნილებასთან და საკუთარ თავთან. სიყვარულს კლავს ეგოიზმი, ნაციონალიზმი და ათეიზმი; ამპარტავნება, ქედმაღლობა, თვითდაჯერებულობა და ყოველგვარი მოუნანიებელი ცოდვა.

ჩვენი ერი დღეს დგას დიდი არჩევანის წინაშე: გააგრძელოს ხანგრძლივი შეფერხების შემდეგ ქრისტესმიერი სიყვარულის გზა, თუ ღვთისგან განშორების გზას დაადგეს; ამა სოფელთან ერთად ჯვარი აირჩიოს, თუ დროებით განცხრომით ყოფნა. გულსატკენია, როდესაც ამ გზისგასაყარზე ერი იყოფა, მაგრამ ჩვენი საზრუნავი მომავალი ცხოვრებაა, რომელსაც საფუძველი დღეს ეყრება. ერი ოჯახით იწყება. ოჯახის მომავალი მისი შვილებია. შვილების გაჩენა და მათი აღზრდა, შემოქმედების ნაყოფიერება და ნაყოფის გაკეთილშობილება, ღმერთთან მიყვანა და სიყვარულის გამრავლება — ოჯახის მთავარი დანიშნულებაა. ამისთვის შეიქმნა ოჯახი, ადამს ცოლი მიეცა, ნოე ოჯახიანად გადარჩა, აბრაამი ოჯახთან ერთად იკურთხა...

წმინდა წერილი გვასწავლის, რომ სულიერი და ზნეობრივი დაცემის დროს ერის და კაცობრიობის გადარჩენა მართალი ადამიანების მიერ ხდებოდა. ამრიგად, ჩვენი ერის გადარჩენა ჩვენს დღევანდელ მოღვაწეობაზეა გარკვეულწილად დამოკიდებული. მნიშვნელოვანი ადგილი კი ამ მოღვაწეობაში მომავალი თაობის აღზრდას უნდა დავუთმოთ.

აღზრდის მრავალი მეთოდი არსებობს. ცნობილია, ერთმანეთისგან განსხვავებული პედაგოგიური სკოლები. მეთოდი მიზანდასახულობას გულისხმობს, მიზანი განაპირობებს მეთოდს, მაგრამ შედეგი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, აღმზრდელისა აღსაზრდელის პიროვნებაზეა დამოკიდებული. ამასთან ერთად, არსებობს ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი: ადამიანი მაინც იზრდება, მიუხედავად იმისა, ჰყავს მას აღმზრდელი თუ არა, რადგანაც ღვთის ხატად არის შექმნილი და თითოეული ადამიანის ცხოვრებას განაგებს ღმერთი. ამიტომაც, თავიდან ბოლომდე ჩამოყალიბებული უნივერსალური პედაგოგიური სისტემა, რომელიც მოგვცემს პირობას ყველა შემთხვევაში მიაღწიოს დასახულ მიზანს, არ არსებობს. ჩვენ ვდგავართ არჩევანის წინაშე — რომელ სისტემას მივანიჭოთ უპირატესობა. ცხადია, რომ თუ ჩვენი მიზანია ადამიანის სრულყოფა, უნდა ავირჩიოთ სისტემა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება ადამიანის ბუნებას, ე. ი. უნდა ვისმინოთ მისი, ვინც შექმნა ცა და ქვეყანა და „ყოველი დამკვიდრებული მათ შინა“. ყველა პედაგოგიური სისტემისათვის უნივერსალურია ორი რამ: სიყვარული აღსაზრდელის მიმართ და აღმზრდელის პირადი მაგალითი — სიტყვისა და საქმის ერთობა. ეს თვისებებიც ჩვენს შემოქმედზე მეტყველებს, რომელიც გვზრდის და გვწყალობს. ამიტომაც, ვთვლით, რომ ბავშვების აღზრდის ჭეშმარიტი საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ ღვთის სიტყვა, წმიდა წერილი. მეორე აუცილებელი პირობაა ის, რომ თავად აღმზრდელი უნდა იყოს სწორად აღზრდილი და ამასთან ერთად, გამოცდილი აღზრდის საკითხებში. ბუნებრივი სისტემა, რომელშიც ხდება პედაგოგიური მომზადება, არის მრავალშვილიანი ოჯახი. უფროსი შვილი ზედამხედველობას უწევს უმცროსებს. ის ამით მშობლის პატივისცემასაც სწავლობს და აღმზრდელის გამოცდილებასაც იძენს მომავლისათვის, როდესაც საკუთარი ოჯახი ეყოლება. ვინაიდან ქრისტიანული ოჯახის ტრადიციები საკმაოდ დარღვეულია, ბავშვების აღზრდის საკითხებზე მსჯელობას წინ უნდა უსწრებდეს საუბარი მშობლების მომზადებაზე.

მორწმუნე ქრისტიანი, ვიდრე ოჯახს შექმნის, სარწმუნოებრივ თვითშემეცნების გზას უნდა დაადგეს; დაინახოს და ღვთის მცნებით განსაჯოს საკუთარი თავი, განიწმინდოს, განთავისუფლდეს მრავალი ცოდვისგან და სულიერად გამოჯანმრთელდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მშობლების ცოდვების გავლენის ქვეშ მოქცეული ბავშვი, როგორც პიროვნება, თავიდანვე იქნება დამახინჯებული.

მამა გიორგი

(გაგრძელება იქნება)

# ორი სიცოცხლე

ეროვნული ბიბლიოთეკა



წუხელ ჩემს ეზოში პატარა გოგო დაიბადა. იმათი ფანჯრიდან გათენებამდე მოისმოდა სიმღერა. ბოლო დღეების ტრაგიკულმა ამბებმა ისე გადაგვრთო და გადაგვაწყო მწუხარე ტალღაზე, ქუჩაში ვიღაცა თუ გაიღიმებს, გულწრფელად გვიკვირს.

ცხოვრებას კი თავისი წესი აქვს და მიდის, მიედინება საკუთარი ადათებით დამშვენებული და დაბრძენებული...

არის თბილისში რამდენიმე სახლი, სადაც წელიწადის დროისა და პოლიტიკური ამინდის მიუხედავად ყოველდღე, ყოველ წამს, სიხარული და ბედნიერება მაინც ზეიმობს. სამშობიარო სახლებზე მოგახსენებთ. თუმცა, ერთი იქაური ექიმის თქმისა არ იყოს, სიხარულის სახლი ამ სახლის ეზოდან იწყება: ხომ გინახავთ მომლოდინე ახლობლები, თვალი რომ გაურბით მაღლა სართულისაკენ, იქითკენ, სადაც საქართველოს მომავალი იბადება. ხშირად არც ვფიქრობთ ამგვარი აღფრთოვანებული განწყობით სამშობიარო სახლებზე. აქ მიმდინარე პროზაული ცხოვრების გამო გაცილებით უკეთესი გვინდა იყოს თანამედროვე სამშობიარო სახლი და ამიტომ. ფაქტია, ყველას გვსურს სამოთხე სუფევდეს ასეთ ადგილას, თუმცა, ხშირად სურვილი და შესაძლებლობა არ ემთხვევა ერთმანეთს.

მინდა გიამბოთ ერთ თბილისურ სამშობიარო სახლზე, მის პრობლემებზე, აქ მომსახურე მედპერსონალის სატკივარსა და იმედებზე.

მე-2 სამშობიარო სახლი 1938 წელს ააგეს. თქმა არ უნდა, სადღეისოდ შენობა მოძველებულია და გაფართოებას საჭიროებს. ამჟამად აქ 230 საწოლია გაშლილი. მოქმედებს გინეკოლოგიური, სამეანო, ორსულთა პათოლოგიის, ობსერვაციული განყოფილებები. საქართველოში იგი ერთადერთი სამშობიარო სახლია, რომელიც გულსისხლძარღვთა პათოლოგიის მქონე ორსულ ქალებს ემსახურება და თავად განსაჯეთ: რა მაღალ დონეზეა იქ ავადმყოფთა მოვლა-მკურნალობა, რადგანაც ზემოხსენებული პათოლოგიით ჯერ მშობიარე არ დაღუპვიათ.

ფეხმძიმე ქალი ხელისგულზეა სატარებელი. ათმაგად მოსაფრთხილებელია გულის მანკიანი და გულის სხვა დაავადებიანი ორსული. და მაინც, სიცოცხლეს ამ კედლებში მუდამ ჯიუტად გაუმარჯვია სიკვდილზე. დიდი რისკით ყოველდღე მოდიან ფეხმძიმეები, სათანადოდ მკურნა-

ლობენ და ბედნიერად სრულდება ყოველივე.

— საგანგებოდ ვახორციელებთ გულსისხლძარღვთა პათოლოგიის მქონე ორსულთა სამჯერად ჰოსპიტალიზაციას, — გვითხრა სამშობიარო სახლის მთავარი ექიმის მოადგილემ ბატონმა ზაქარია ბეჟიტაშვილმა, — პირველ ეტაპზე ექიმები ვმსჯელობთ, მიმდინარე პათოლოგიის ფონზე ღირს თუ არა ორსულობის გაგრძელება. მეორე ჰოსპიტალიზაცია 24 კვირის ვადაში ხდება, რომლის დროსაც ავადმყოფს ვუტარებთ პროფილაქტიკურ კარდიოთერაპიას. მესამე ეტაპი მშობიარობამდე დარჩენილი ორი სამი კვირაა, როცა ვსახავთ მოქმედების კონკრეტულ გეგმას.

მე-2 სამშობიარო სახლში კარდიოლოგიურ სამსახურს წლების მანძილზე ხელმძღვანელობს გამოცდილი ექიმი ქალბატონი ეთერ დადიანი. ფეხზე დგას მთელი კარდიოლოგიური სამსახური გულის მანკიანი ორსულის მშობიარობის დროს.

სამეანო-გინეკოლოგიური და ბავშვთა განყოფილებები აღჭურვილია როგორც საბჭოური, ასევე დასავლეთ გერმანული და ინგლისური, იაპონური სარეანიმაციო აპარატურით, თუმცა, ეს უკანასკნელი მწყობრიდან გამოსულა და მთელი დატვირთვით ვერ მუშაობს, ასე რომ, შეცვლას საჭიროებს.

სამშობიარო სახლში არსებობს ასფიქსიის დამდგენი აპარატურაც, რომელიც შეისწავლის ნაყოფის მდგომარეობას; ქმნის მშობიარობის სიმულაციას და ამ გზით სამშობიარო ჩარევის წინასწარ პროგნოზს იძლევა. ყველა განყოფილებაში დადგმულია ვიდეოტელეფონები, რის საშუალებითაც ავადმყოფი მნახველს უკავშირდება. მართალია, საავადმყოფო შეაკეთეს, ბევრი რამ შეიცვალა, განახლდა, მაგრამ სივიწროვე მაინც თვალში საცემია. არადა, როგორ სჭირდებათ მელოგინე ქალებს ფართო, მზითა და ჰაერით სავსე პალატები, სიწყნარე და სიმყუდროვე. ნუთუ შორსა ვართ ამ ოცნების განხორციელებისგან.

— არც ისე შორს, ბრძანა სამშობიარო სახლის მთავარმა ექიმმა, ბატონმა მამული იაშვილმა — თუკი გავფართოვდებით, საშუალებაც მოგვეცემა თანამედროვე მოთხოვნებს დავუქვემდებაროთ ყველაფერი, რაც ჩვენს ხელთ არის... რა თქმა უნდა, მელოგინეებს მეტი კომფორტი სჭირდებათ. მიზანშეწონილად მიმაჩნია და ჩვენ ამას განვახორციელებთ კიდეც, თუკი სათანადო ფართობი გვექნება — მელოგინის პალატაში მოვათავსოთ მისი პირმშოც. მომვლელი ძიძის დახმარებით ახალბედა დედა ჩვენთან ყოფნისას შეისწავლის ბავშვის მოვლას და შინ გამოცდილი წაბრძანდება. ჩვენს პირობებში ამაზე მხოლოდ ოცნება შეგვიძლია. მინდა გითხრათ, რომ ჩვენდა საიმედოდ, სერიოზულად დგას სამშობიარო სახლის წინ მდებარე ტრამვმატოლოგიური საავადმყოფოს ქალაქის სხვა ადგილას გადატანის საკითხი. თუ ჩვენი სახლი ამ შენობას მიიერთებს, ბევრ კეთილ და სასარგებლო საქმეს დავადგამთ თავს. პირველ რიგში ყველა განყოფილება მოთავსდება ცალკე სართულზე, გვექნება ორკაციანი პალატები, რამდენიმე საოპერაციო, სარეაბილიტაციო და ასევე, დღის სტაციონარიც.

დღევანდელ პირობებში, სივიწროვის მიუხედავად, ავამოქმედეთ ცენტრალური სასტერილიზაციო განყოფილება. ჩვენი თეთრეული სტერილურობის მხრივ უნაკლოა, ხოლო, რაც შეეხება მელოგინეთა სამოსს, რაც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, მინდა გითხრათ, რომ ბევრი კოოპერატივი დაგვპირდა ნორმალური შესახედაობისა და, რაც მთავარია, ყველა ზომის პერანგებისა და ხალათების შეკერვას. სამწუხაროდ, დაპირება დაპირებად დარჩა. იძულებული გავხდით, ზოგ განყოფილებაში ნება დაგვერთო, შინიდან მოტანილი სამოსი სცმოდათ. მინდა ისიც გითხრათ, სამშობიაროს ჟანგბადით ამარაგებს ცენტრალური სადგური, რომელიც სამშობიაროს ეზოშია.

მთავარმა ექიმმა თავისი მოსაზრება გამოთქვა ე. წ. პრენატალური სამსახურის შექმნის თაობაზე, რომლის დროსაც გამოიკვლევენ ნაყოფს ჩასახვის დღიდან მუცლადყოფნის პერიოდში და მშობიარობამდე. ამ სამსახურს პროფილაქტიკური მისია აკისრია: თავიდან იქნება აცილებული მოსალოდნელი სიმახინჯეები და მრავალი სხვა პათოლოგია.

იმედს გამოვთქვამთ, რომ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო, სათანადო ორგანიზაციები დროულად დაინტერესდებიან მე-2 სამშობიარო სახლის ბედით, მისი მომავლით და არაფერს დაიშურებენ მისი გამოცდილი მედპერსონალის ყოველდღიური შრომის დასაფასებლად. დაფასებას კი ამ შემთხვევაში მხოლოდ გაფართოებაში ვხედავ. საქართველოში ერთადერთ სამშობიაროს, რომელსაც მეტად მოსაფრთხილებელი პაციენტები ჰყავს, დიახაც აქვს უფლება, ჰქონდეს თანამედროვე, ნათელი, ჰაერით სავსე პალატა-დერეფნები. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართველ ქალებში უკვე შეინიშნება მესამე, მეოთხე შვილის გაჩენის ტენდენცია. საქართველოს მომავალმა დაბადების პირველ დღეებში უნდა შეიგრძნოს თავისუფალი სივრცისა და სუფთა ჰაერის სიჭარბე, ნათელი გარემო და სიმყუდროვე...

ცხოვრებას ხომ თავისი წესი აქვს. ახალი სიცოცხლე იბადება, მოდით, ერთად ვიფიქროთ, როგორ გავულამაზოთ ყოფა ჩვენს მელოგინეებს, არ დაგვავიწყდეს: დედა-შვილის სიცოცხლესთან, ორ სიცოცხლესთან გვაქვს საქმე.

რუსუდან ნიკურაძე



ოჯახის განმტკიცებაზე, დედებსა და ბავშვებზე ზრუნვა სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას უნდა წარმოადგენდეს. ბოლო წლებში ჩვენს ქვეყანაში მათ საკეთილდღეოდ გარკვეული ღონისძიებები ხორციელდება.

ამჟამად რესპუბლიკაში ყოველთვიურად დახმარებას იღებს 18999 მრავალშვილიანი და 12765 მარტოხელა დედა. კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდიდან ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახების ბავშვებისათვის დახმარება ეძლევა 13519-ზე მეტ დედას, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტით ან მარტო სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით — 2219 დედას. დანარჩენი ქალები ზემოაღნიშნულ დახმარებას იღებენ თავიანთი ან მეუღლის სამუშაო ადგილის მიხედვით.

დღეისათვის ყველა ქალს უფლება აქვს მოხუცებულობის პენსია მიიღოს 55 წლის ასაკიდან სულ ცოტა 20 წლის მუშაობის სტაჟით, მაგრამ, მათ შორის იმ ქალებს, რომლებმაც შობეს და 8 წლის ასაკამდე აღზარდეს 5 ან მეტი შვილი, მოხუცებულობის პენსია ენიშნებათ 15 წლის შრომის სტაჟით და 50 წლის ასაკიდან.

სახელმწიფო დახმარება ენიშნებათ დედებს მეოთხე და ყოველი შემდგომი შვილის დაბადებისას, დახმარების თანხა იზრდება 4-დან 15 მანეთამდე, რაც, სამწუხაროდ, მეტად მცირეა.

დახმარება ბავშვის დაბადებისთანავე გაიცემა, ხოლო ყოველთვიური — ბავშვის დაბადების მეორე წლიდან 5 წლის შესრულებამდე. აღნიშნული დახმარება დედას ენიშნება ყოველთვის, იმის მიუხედავად, იღებს თუ არა იგი დახმარებას ადრეშობილ ბავშვზე. მრავალშვილიანი დედებისათვის დახმარების დანიშვნისას მხედველობაში მიიღება საკუთარი და ნაშვილები ბავშვები, აგრეთვე, ქმრის

*ირინე ღლონტი:*

# რას გვაძლევს კანონი დედებსა და ბავშვებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილები და ქმრის მიერ ნაშვილები ბავშვები თუ ისინი დედას აღსაზრდელად გადაეცემა 12 წლის შესრულებამდე.

მნიშვნელობა არა აქვს, მრავალშვილიანი დედა შვილებზე პენსიას იღებს თუ ალიმენტს, სახელმწიფო დახმარება მას მაინც ეძლევა.

ბავშვების შესანახად და აღსაზრდელად დახმარება დაენიშნებათ და მიეცემათ იმ მარტოხელა დედებს, რომლებიც არ იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში, თუ დაბადების მოწმობაში არ არის ჩანაწერი ბავშვის მამის შესახებ, ან ეს ჩანაწერი გაკეთებულია დადგენილი წესით, დედის მითითებით. მარტოხელად ითვლება ქალი, რომელიც ერთ ოჯახად არ ცხოვრობს ბავშვის მამასთან და არ ეწევა საერთო მეურნეობას. მარტოხელა დედებს დახმარება მიეცემათ თითოეულ ბავშვზე თვეში 20 მანეთის ოდენობით და 16 წლის შესრულებამდე, ხოლო მოსწავლეებზე, რომლებიც სტიპენდიას არ იღებენ, 18 წლამდე.

ყველა ორსულ ქალს — მუშას, მოსამსახურეს, კოლმეურნეს, მიეცემა შვებულება ორსულობისა და მშობიარობის გამო 112 კალენდარული დღის ხანგრძლივობით, აქედან მშობიარობამდე და მშობიარობის შემდეგაც — 56—56 დღე. მძიმე მშობიარობის, ტყუპების დაბადების შემთხვევაში, მშობიარობის შემდეგ, ქალს შვებულება 70 კალენდარულ დღემდე გაეზრდება.

ქალებს, რომლებმაც უშუალოდ სამშობიარო სახლიდან იშვილეს ახალშობილი ბავშვები, შვებულება მიეცემათ შვილად აყვანის დღიდან, მაგრამ არაუმეტეს ბავშვის დაბადებიდან 56 დღის გასვლამდე.

მოქმედი კანონის თანახმად, სულ ცოტა, ერთი წლის საერთო სტაჟის მქონე მომუშავე დედებს, აგრეთვე ქალებს, რომლებიც წარმოებისაგან მოწყვეტით სწავლობენ, ბავშვის მოსავლელად, სანამ იგი წლინახევრისა გახდება, ნაწილობრივ აუნაზღაურდებათ შვებულება, ქვეყნის შორეული აღმოსავლეთის, ციმბირისა და ჩრდილოეთის რაიონებში ეს შვებულება ანაზღაურდება თვეში 50, დანარჩენ რაიონებში — 35 მანეთის ოდენობით.

მომუშავე დედებს, რომლებსაც ჰყავთ 12 წლის ასაკამდე ორი ან მეტი შვილი, დამატებით მიეცემათ 3 დღის ანაზღაურებული შვებულება, იმ პირობით, რომ შვებულების საერთო ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 28 კალენდარულ დღეს. მათვე მინიჭებული აქვთ ყოველწლიური შვებულების მიღების უპირატესი უფლება ზაფხულში ან მათთვის მოსახერხებელ სხვა დროს, ხოლო ბავშვის მოსავლელად დამატებითი უხელფასო შვებულების აღება კი შეუძლია ადმინისტრაციასთან შეთანხმებით იმ პერიოდისთვის როგორც ეს მოსახერხებელი იქნება წარმოება-დაწესებულებისათვის.

მომუშავე ან წარმოების მოწყვეტით მოსწავლე ქალებს ეძლევათ დახმარება 50 მანეთის ოდენობით პირველი შვილის, და 100 მანეთის ოდენობით — მეორე და მესამე შვილის დაბადებისას; ამასთან, თუ დედას შეეძინა ტყუპი შვილი, ერთდროული დახმარების სახით თითოეულ ბავშვს ეძლევა 100—100 მანეთი.

დამატებითი შეღავათებია დაწესებული იმ ქალებისათვის, რომელთაც შობეს და 8 წლის ასაკამდე აღზარდეს 5 ან მეტი შვილი, ან ბავშვობიდანვე ინვალიდი თუნდაც ერთი ბავშვი. ამ შემთხვევაში დედებს, რომელთაც არანაკლებ 5 წლის შრომის სტაჟი აქვთ, არასრული სტაჟით 55 წლის ასაკში, პენსია ენიშნებათ ყველა შემთხვევაში, იმის მიუხედავად, მოხუცებულობის პენსიის დასანიშნად საჭირო ასაკს მიაღწია მუშაობის პერიოდში, თუ მისი შეწყვეტის შემდეგ და არც იმას, პენსიის დანიშვნას წინ უძღვის თუ არა 3 წლის განუწყვეტელი შრომის სტაჟი (რაც აუცილებელია დანარჩენი ქალებისათვის არასრული სტაჟით პენსიის დანიშვნისათვის).

კანონით დადგენილია მთელი რიგი სხვა შეღავათებიც. მაგალითად, 30 წლამდე ასაკში ახალდაქორწინებულებს და ბავშვიან ოჯახებს სახელმწიფო მეტ უპირატესობას ანიჭებს საცხოვრებელი ფართობის მიღებისას. ამის გარდა, თუ 30 წლამდე დაქორწინებულ მეუღლეებს ჰყავთ ერთი ბავშვი მაინც და მეუღლეთა შორის რომელიმეს აქვს ერთ დაწესებულებაში, ორგანიზაციაში ან კოლმეურნეობაში მუშაობის სულ ცოტა 2 წლის შრომის სტაჟი და სამუშაო ადგილზე დადებითად ხასიათდება, საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, შეუძლიათ ისარგებლონ 1500 მანეთამდე უპროცენტო სესხით 8 წლის ვადით. თუ ახალდაქორწინებულ ასეთ მეუღლეებს შეეძინათ მეორე შვილი, ვალის თანხიდან 200 მანეთი ჩაეთვლებათ დაფარულად, ხოლო მესამე შვილის შეძენისას კი დაიფარება 300 მანეთი.

მოსალოდნელ გაუგებრობათა თავიდან აცილების მიზნით აქვე განვმარტავთ, რომ ზემოაღნიშნული სესხი გაიცემა მხოლოდ იმ ორგანიზაციებში, რომელთაც აქვთ ჭარბი შემოსავალი ან მოგება.

აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონის შესაბამისად სტიპენდია ეძლევა უმაღლესი, საშუალო სპეციალური სასწავლებლებისა და პროფტექნიკური სასწავლო დაწესებულების ყველა სტუდენტს და მოსწავლეს, რომელსაც ჰყავს შვილი და აქვს დადებითი მოსწრება.

— კანონი ითვალისწინებს დედებისა და ბავშვებისათვის სხვადასხვა სახის დახმარების გაცემას, რისთვისაც ყოველწლიურად უდიდესი სახსრები იხარჯება. 1989 წელს ამ დანიშნულებისათვის მხოლოდ ერთ წელიწადში დაიხარჯა 4.824 000 მანეთი.

1989 წლის 1 დეკემბრიდან ორი მნიშვნელოვანი სიახლე მოხდა დედათა და ბავშვთა საკეთილდღეოდ: თუ ნაკლებად

# ოჯახი, საზოგადოება

უზრუნველყოფილი ოჯახები იღებდნენ ყოველთვიურ სახელმწიფო დახმარებას თითოეულ ბავშვზე თვეში 12 მანეთის ოდენობით, შვილის 8 წლის შესრულებამდე, ამჟამად მას მიიღებენ იქამდე, სანამ ბავშვი 12 წლისა გახდებოდეს;

— უხელფასო შვებულების ხანგრძლივობა, რომელიც მომუშავე ქალს ზემოთ აღნიშნულ თარიღამდე შვილის მოსავლელად ეძლეოდა ბავშვის წლინახევრის შესრულებამდე, გაიზარდა სამ წლამდე. აქედან, ნაწილობრივ ფასიანი შვებულება (თვეში 35 მანეთი) ბავშვის წლინახევრის შესრულებამდე გაიცემა, ხოლო დანარჩენი წელიწადნახევარი დედას მიეცემა უხელფასო შვებულება, ისე რომ, ეს პერიოდი მას ჩაეთვლება მუშაობის უწყვეტ სტაჟად. სასიხარულოა, რომ აღნიშნული დახმარება ბავშვის წლინახევრის შესრულებამდე 1991 წლის პირველი იანვრიდან გაიზრდება თვეში 70 მანეთამდე. წლევანდელი 1 დეკემბრიდან კი მრავალშვილიან დედებსაც გაეზრდებათ ყოველთვიური სახელმწიფო დახმარების ოდენობა.

უნდა აღინიშნოს, რომ კანონით გათვალისწინებული შეღავათებისა და უპირატესობების გარდა, დედათა და ბავშვთა სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების საქმეში ბოლო წლებში დიდი წვლილი შეაქვთ რესპუბლიკაში შექმნილ დემოგრაფიულ საზოგადოებასა და ბავშვთა ფონდს, რომლებიც მატერიალურ და მორალურ მხარდაჭერას არ აკლებენ ბავშვიან, განსაკუთრებით კი მრავალშვილიან ოჯახებს. ამ საქმეში უკვე თავისი იმედიანი სიტყვა თქვა რამდენიმე შეძლებულმა კოოპერატივმაც. მისასალმებელია ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ სასწავლებელთან არსებული საქველმოქმედო კლუბ „სიკეთის" წევრ გოგონათა თაოსნობა, რომლებიც უანგაროდ უვლიან მარტოხელა მოხუცებსა და მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვებს.

ყოველივე ზემოთქმულს, ვფიქრობ, ჩვენი მკითხველები არ გაგვიგებენ ისე, თითქოს კმაყოფილი ვიყოთ დედათა და ბავშვთა იმ სოცუზრუნველყოფით, რაც კანონმა დააწესა. მიგვაჩნია, რომ სახელმწიფოს გადაუდებელი ამოცანაა შემდგომ კვლავაც განხორციელდეს ახალი ღონისძიებები. დაუყოვნებლივ უნდა გამოინახოს შესაძლებლობა და გაიზარდოს დახმარება მცირეშემოსავლიანი ოჯახებისათვის, რომლებიც აღნიშნულ დახმარებას თვეში კვლავ 12 მანეთის ოდენობით იღებენ, უნდა დაწესდეს სხვა დამატებითი შეღავათები მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის და ა. შ.

ეჭვსგარეშეა, უახლოეს წლებში ყოველივე ეს და სხვა მრავალი სიკეთე განხორციელდება, ვინაიდან არ არსებობს უფრო დიდი საქმე, ვიდრე ჩვენი ხვალინდელი დღის, მომავალი თაობის ღირსეულად აღზრდა.



# ცაცა



ეროვნული ბიბლიოთეკა

არიან ადამიანები, რომლებსაც მოყვასისადმი თანადგომა და სამსახური ამქვეყნიური ყოფის მთავარ მიზნად დაუსახავთ.

ჩვენს ბედკრულ ქვეყანაში სწორედ ამაღლებული სულის, საზოგადოებისა და ოჯახის, ერის სახელოვანი შვილები არიან, ჩვენს აწმყოსა და მერმისს გონივრულად რომ ჭვრეტენ, და ბედნიერებაც ის არის, ნათელი აზრისა ჩვენი გორისანი რომ მრავლად არიან.

ცაცა დევდარიანი თბილისში დაიბადა და აღიზარდა. რვა შვილი ჰყავდა მის მშობლებს — იასონსა და ნინო ხუხუნაიშვილებს. ცაცა ავთანდილის ტყუპისცალი იყო და ნაბოლარას ეძახდნენ. მრავალშვილიანთა ოჯახში დიდი სითბო და კეთილი სული ტრიალებდა. ურთიერთსიყვარული და მშობლების პატივისცემა, სიბეჯითე და მუყაითობა, ბავშვებმა იმთავითვე ცხოვრების მთავარ მიზნად დაისახეს.

ცაცა თანატოლებში გამოირჩეოდა. ჩინებულ მოსწავლეს სპორტიც იზიდავდა. სპორტსკოლაშიც ხალისით დადიოდა. 1959 წელს 17 წლის გოგონა სპორტის ოსტატი გახდა. თბილისის 68-ე საშუალო სკოლა წარჩინებით დაასრულა.

შემდეგ უმაღლესი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრეწველობის ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. სწავლასთან ერთად მსახურობდა კიდეც.

თვრამეტი წლის ცაცამ მინისტრთა საბჭოს ექსპედიციის ექსპედიტორად დაიწყო მუშაობა. საქმეს გულმოდგინებით მოეკიდა. სათნო და ნიჭიერმა ქალიშვილმა იმთავითვე ყურადღება დაიმსახურა.

ვკითხულობ ცაცა დევდარიანის საანკეტო მონაცემებს: თავმჯდომარის მოადგილის მდივნად გადაიყვანეს, მალე ინსპექტორი გახდა, შემდეგ ინსტრუქტორი, რეფერენტი, უფროსი რეფერენტი. ამჟამად წამყვანი სპეციალისტია.

ცაცა დევდარიანმა თავისი ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში იპოვა და საქმიანობის ნათელმა გზამ უკვე სამი ათეული წელიწადი მიითვალა.

ცხოვრების თანამგზავრად ღირსეული მეუღლე — ლერი დევდარიანი შეხვდა. ორი ვაჟიშვილი შეეძინათ და ბედნიერი ცოლქმარი სიხარულით ფრთებშესხმულები იყო. კაცის ბედი ბეწვის ხიდიაო, — ხალხს უთქვამს და სავალი ბილიკები იავარდით მოფენილი ყოველთვის როდი ჰქონდათ. ტრაგიკულმა, ბრმა შემთხვევამ ლერი, ოჯახის მამა, ორივე თვალით თითქმის ჩინწართმეული დატოვა. ხანგრძლივმა მკურნალობამ მხედველობის მხოლოდ ორი-სამი პროცენტი დაუბრუნა. ჭირთმთმენნი სულით არ დაეცნენ. ცაცა მეუღლეს ამხნევებდა. ერთმანეთს უფრთხილდებოდნენ და განსაცდელი უთქმელად გადაიტანეს. მთვლემარე, მიძინებული ძალა თანდათან იკრებდა ღონეს.

# სიკეთის ზარები რეკენ

ბინდისფერებით ხედვამ როდი დაჯაბნა ვაჟკაცი. ჩრდილი თანდათან მკრთალდებოდა და შეძახილმა გამოაფხიზლა, სულით არ დაეცა და სამუშაო მაგიდას კვლავინდებურად მიუჯდა. დღედაღამეს ასწორებდა და საწადელს მიაღწია. 1980 წელს უნივერსიტეტის ლექტორმა ლერი დევდარიანმა საკანდიდატო დისერტაცია ფიზიკურ ქიმიაში დაიცვა და მას შემდეგ ქიმიის ფაკულტეტის დოცენტი კვლევით ლაბორატორიას ხელმძღვანელობს.

ორ ბიჭუნას მხიარული ბავშვობა დროებით წაერთვა. მამის განსაცდელს მალული სევდით გულში იკლავდნენ, ბეჯითად სწავლობდნენ, დედ-მამას ჩვენზე საფიქრალს განვარიდებთო და, მართლაც რობერტისა და ლევანის მხოლოდ ქება ესმოდათ მშობლებს და მათთვის უფრო დიდი ჯილდო სხვა აბა რა უნდა ყოფილიყო.

რობერტმა და ლევანმა აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 42-ე სკოლა ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაასრულეს. რობერტი მამის კვალს გაჰყვა.

— როცა მამამ ლაბორატორიაში პირველად მიმიყვანა, მეხსიერებაში ჩამრჩა დანადგარი ურიცხვი შკალებითა და ვერცხლის წყლის ბრჭყვიალა სვეტებით. გაკვირვებული შევცქეროდი სრულიად უცხო, უცნაურ ნივთებს, ქიმიურ ხელსაწყოებს, სხვადასხვა ფორმის კოლბებსა და სინჯარებს. ეს მაშინ ჩემთვის სრულიად ამოუცნობი სამყარო იყო.

და ეს გახლდათ რობერტის პირველი შეხვედრა ქიმიასთან. იგი უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე ჩარიცხეს. საქმიანი, დინჯი ახალგაზრდა მომავალმა პროფესიამ გაიტაცა. გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ 1984 წლის 6 ნოემბრის ნომერში წერდა: ჩვენი უნივერსიტეტის წარჩინებულ სახელობით სტიპენდიანტთა რიცხვს ახალი შევსება დაემატაო და ახლად სახელობით სტიპენდიანტთა სიაში ქიმიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტის — რობერტ ლერის ძე დევდარიანის გვარიც იყო დასახელებული. სტუდენტთა საკავშირო ოლიმპიადებზე მან სამჯერ გაიმარჯვა. ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეობდა. სტუდენტობის დროს ექვსი სამეცნიერო შრომა გამოაქვეყნა. ამჟამად მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივ ასპირანტურაში აგრძელებს სწავლას და არის 17 შრომის ავტორი. იგი დაოჯახდა. ჰყავს მეუღლე — ქიმიკოსი ირმა ბერძენიშვილი და ხარობენ პატარა მარიამით.

ლევანი უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტია. პირველი კურსის „ფრიადზე“ დახურვის შემდეგ ორი წელიწადი სამხედრო სავალდებულო სამსახურში დაჰყო. შემდეგ ისევ სტუდენტის მერხს მიუჯდა.

ცაცამ ბავშვობიდანვე აღზარდა დედით ობოლი ახლო ნათესავი მარგო ანთაძე. გოგონას უმაღლესი განათლებაც მიაღებინა და დააქმარშვილა. მარგო თავისი ოჯახით ამჟამად მის ჭერქვეშ ცხოვრობს.

მშვიდი ოჯახური ყოფა, სამსახურშიც, საზოგადოებრივ გარემოშიც თავის კვალს სტოვებს. დღენიადაგ სხვათა მოჭირნახულე და მზრუნველი ცაცა დევდარიანი 1983 წელს აპარატის ქალთა საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს. აირჩიეს და ახალი საზრუნავი გაუჩნდა. შვიდი წელიწადია გულმხურვალედ ემსახურება ქალთა საბჭოს ამ მეტად საპატიო მისიას. იგი მთაწმინდის რაიონის ქალთა საბჭოს წევრიც არის. მან კარგად იცის რომ ქალი ნამდვილად დიდი ძალაა, განსაკუთრებით ახლა, როცა ეროვნული მოძრაობის ზეაღსვლაა და ყოველთვის ეძიებს საშუალებებს ქალთა შორის მუშაობა საინტერესო გახადოს.

ცაცას ფხიზელ თვალს როდი გამოეპარა განყოფილების მდივან-მემანქანის იზა კორინთელის ფიქრიანი სახე, რომელშიც ბევრ უთქმელ დარდს კითხულობდა. დედისათვის ხუმრობა საქმე ხომ არ იყო ოთხი მოზარდი ვაჟიშვილის აღზრდა. ქალთა საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა კორინთელის ხელმოკლე ოჯახით, შეისწავლა მისი საყოფაცხოვრებო, საბინაო პირობები. მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველს ზურაბ მახარაძეს გააცნო მრავალშვილიანი ოჯახის საბინაო გასაჭირი. ბატონი ზურაბი გადასაწყვეტ ყველა საქმეში ქალთა საბჭოს მხარში უდგას. იზა კორინთელი მალე საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილდება, ახალ კერიაში დაფუძნდება.

ლალი ბარბაქაძესაც ოთხი ქალვაჟი ჰყავს. დედას და შვილებს ქალთა საბჭომ დასასვენებელი საგზურებით შეუწყო ხელი. სამ-სამი შვილების დედებს ზეინაბ ჩარქსელიანს, დიანა ასათიანს, ნელი სალიბეკოვას არ აკლებენ ყურადღებას.

რვა მარტის დღესასწაული ქალთა საბჭოს ინიციატივით ყოველთვის საინტერესოდ აღინიშნება. წლეულს ქალებთან ერთად მეუღლეებიც მოიპატიჟეს. ხუთასამდე კაცი შეიკრიბა. იყო ქალთა მიერ დამზადებული ნუგბარის კონკურსიც. უკრავდა მუსიკა. მსახიობებმა მხატვრული განყოფილებაც წარმოადგინეს.

არიან ქალები, რომლებიც ორმოც წელზე მეტი ხანია აპარატში მუშაობენ. ეთერ ომიაძე, ლუბა ჭაჭიაშვილი, გუგული ლეჟავა, ანია პეტროსიანი, თამარ გვეტაძე, მერი ქორქაშვილი და სხვები ახალგაზრდული შემართებით ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას.

ქალთა საბჭოს მხარში უდგანან და ყველა წამოწყების ინიციატორები არიან ლუიზა გოგიჩაიშვილი, ეთერ ჩიქვინიძე, მერი კვალიაშვილი, ლეილა ასრათაშვილი.

დეიდა ნინას მოკრძალებით უწოდებენ ქალბატონ ნინო ტატიშვილს, რომელმაც საერთო განყოფილებაში 50 წელიწადს უმწიკვლოდ იმუშავა. ქალბატონი ნინო რამდენიმე თვის წინათ 85 წლისა შესრულდა. ქალთა საბჭოს ინიციატივით დაბადების თარიღს 80 წლის ასაკიდან ყოველწლიურად აღუნიშნავენ. ვალმოხდილ მანდილოსანს ამას წინათ გაცილებაც მოუწყეს. ბევრი თბილი სიტყვა ითქვა იმ საღამოს ქალბატონ ნინოს მიმართ. ქალებმა სამახსოვრო საჩუქარიც მიუძღვნეს. — საჭიროების შემთხვევაში მე თქვენთან ვარო, — წარმოთქვა ნინომ და მართლაც, როცა საქმე მოეძალებათ და გამოცდილების მოხმევაა საჭირო, ქალბატონ ნინოს მიმართავენ და ისიც თანშეზრდილ კოლექტივთან შესახვედრად დაუზარებლად სიხარულით მიაბიჯებს.

ასეთია მოკრძალებული სახე ქალისა, ქალთა საბჭოს რიგითი თავმჯდომარის ცაცა დევდარიანისა, რომელსაც მოუღლელი მარჯვენა გაწვდილი აქვს ადამიანების დასახმარებლად. მან, ღირსეულმა მეუღლემ, დედამ და ბებიამ ოჯახის ბურჯობა, საზოგადოებრივი მოღვაწეობა ერთმანეთს ჩინებულად შეუხამა და ამ საპატიო მოვალეობას დიდი ხალისით ასრულებს.

ეთერ ჯაფარიძე



# თამარ, კონსტანტინეს ასული

თამარ გამსახურდიას ბევრი რამის გამო ჰქონდა უფლება ბედნიერი ყოფილიყო. მარტო მისი ღვთიური გარეგნობა კმაროდა ამისთვის — შველივით გოგო, ხორბლისფერი, ოდნავ შეფაკლული, ნუშისმაგვარი, დახრილი შავი თვალებით და მსხვილი ნაწნავით აიცვნდა და ატყვევებდა მნახველს. განგებამ უხვად დააჯილდოვა ქალი — მის უზადო ლამაზ სხეულში ლამაზი სული იყო...

დიდი კონსტანტინე გამსახურდიას შვილმა ოჯახის შესაფერი აღზრდა და განათლება მიიღო, მამისგან — ნიჭი, დედისგან — ფალავანდიშვილთა გვარის ქალისაგან — ჯიში, სილამაზე, სინაზე, მოსიყვარულე გული და შემწყნარებლობა გამოჰყვა.

მას, მშობლების ნებიერს, სრული უფლება ჰქონდა უდარდელად ეცხოვრა, მაგრამ, ერთი წუთითაც არ უსარგებლია ამ უფლებით. კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახურ გარემოში, სადაც მინაური თუ უცხო სტუმარი ულევი იყო, სადაც საქართველოში ჩამოსული კულტურის ყველა დარგის გამოჩენილი მოღვაწე მათთან ცდილობდა მოხვედრას და იმართებოდა საინტერესო საუბრები, დისკუსიები, თამარს მოსაწყენად დრო არ რჩებოდა.

ბავშვობიდანვე დაჰყვა საქმის სიყვარული, ინტერესი, პასუხისმგებლობის გრძნობა, სურვილი — ოჯახური ტრადიციის სიმაღლეზე მდგარიყო, ყოფილიყო მამის ღირსეული შვილი. ამიტომ, შემთხვევითი არ იყო, რომ სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა, უნივერსიტეტი — წარჩინებით.

თამრიკო ბავშვობიდანვე ეზიარა მშობლიურ კულტურას, ლიტერატურას, ხელოვნებას. თავის უმშვენიერეს და ულამაზეს დედასთან, ქალბატონ მირანდასთან ერთად იგი ყოველთვის ამშვენებდა იმდროინდელი თბილისის ინტელექტუალურ თავყრილობებს — ლიტერატურულ საღამოებს მწერალთა კავშირში, დისკუსიებს, საოპერო და დრამატული თეატრების საპრემიერო სპექტაკლებს, ქართული ცეკვის სახელოვანი ანსამბლის საღამოებს, ქართველ თუ საგასტროლოდ ჩამოსულ მუსიკოს-შემსრულებელთა კონცერტებს... მისი ცხოვრების ყოველი დღე მნიშვნელოვანი მოვლენებით იყო დატვირთული,



ბატონი კონსტანტინე და ქალბატონი მირანდა შვილებთან თამართან და ზვიადთან.

მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა, სანიმუშოდ ესწავლა.

ალბათ, ნიშანდობლივია და გასაგებია, რომ სპეციალობად მშობლიური ქვეყნის ისტორია აარჩია და პირველ კურსიდანვე აქტიურად ჩაება ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ცხოვრებაში. მისი მოხსენებები საქართველოს ისტორიის კათედრის, ისტორიის ფაკულტეტის, საუნივერსიტეტო თუ რესპუბლიკურ სამეცნიერო შეკრებებზე ყოველთვის კვლევის სიღრმით, საკითხის სრულყოფილი ცოდნით, გადმოცემის მაღალი კულტურით გამოირჩეოდა და იმთავითვე იქცევდა მასწავლებლებისა და უფროსი კოლეგების ყურადღებას.

უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1959-62 წლებში თამრიკო გამსახურდია საქართველოს ისტორიის კათედრის ასპირანტია. 1962 წლიდან — საქართველოს ისტორიის კათედრის ლაბორანტი, 1966 წლიდან — კათედრის ასისტენტი ნახევარ განაკვეთზე, 1968 წლიდან — ასისტენტი მთელ განაკვეთით, 1971 წლიდან — დოცენტი. არავითარი შეღავათი კონსტანტინე გამსახურდიას შვილობით — მან გაიარა ყველა საფეხური ლაბორანტიდან დოცენტამდე.

ქართული, რუსული და ევროპული ენების ცოდნა თამარს ბევრის გაკეთების საშუალებას აძლევდა. ახალგაზრდა მეცნიერი დაეწაფა ძველ ფოლიანტებს, ბერძნული, სომხური ენების შესწავლას. განსაკუთრებით იზიდავდა ანტიკური და ადრეშუასაუკუნეების საქართველოს ისტორია. დაიწყო დაძაბული შრომის წლები.

ასპირანტობისა და შემდეგში მუშაობის წლები ნაყოფიერად წარიმართა გულისხმიერი მასწავლებლისა და მეგობრის, ბატონ შოთა მესხიას ხელმძღვანელობით. საკანდიდატო დისერტაციის თემად ბატონმა შოთამ თამარს IV—VI საუკუნეების ქართლის ქალაქების ისტორია შეურჩია. ახალგაზრდა მკვლევარი პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით, დინჯად და თავდაუზოგავად მუშაობდა. მან გააცოცხლა ანტიკური ქართლის ნგრევისა და შუასაუკუნეების რთულ ეპოქაში ძველი ქართული ქალაქების ისტორიის ფურცლები. აჰტყველდა ქართული ეროვნული ისტორიოგრაფიის მონაცემები, არქეოლოგიური მასალა, ბერძენ, რომაელ, სომეხ და არაბ ისტორიკოსთა ცნობები, დახატა ქალაქთა დაცემისა თუ აღდგენის, შენებისა თუ ნგრევის ცოცხალი, მეცნიერულად გამართული სურათი. მომთხოვნი ხელმძღვანელი კმაყოფილი დარჩა, შრომამ მაღალი შეფასება მიიღო და 1966 წელს თამარ გამსახურდიას მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

საკანდიდატო დისერტაციის მოჰყვა რამდენიმე გამოკვლევა ჩვენი დედაქალაქის ისტორიის („თბილისის ციხის უძველესი სახელწოდებისათვის", მნათობი, 1968, № 4), ამიერკავკასიის უძველესი სავაჭრო გზებისა („ამიერკავკასიის უძველესი სავაჭრო გზების შესახებ", საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XLI:3, 1966 წ.) და სხვა საკითხების შესახებ.

ქართველი ხალხის ისტორია უძველესი დროიდან მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი უახლოესი მეზობლების — სომხეთისა და ირანის ისტორიასთან. ქართულ-სომხური და ქართულ-ირანული მრავალსაუკუნოვანი ისტორიის კვლევა ქართველური მეცნიერების საპატიო საქმეა. ამ დიდ საქმეს დიდი სიძნელეებიც ახლავს, მაგრამ, თამარ გამსახურდია იმათ რიცხვს არ ეკუთვნოდა, ვინც მეცნიერებაში იოლი გზით სიარულს არჩევდა. მან ხელი მოჰკიდა პიტიახშის ინსტიტუტის რთული პრობლემის კვლევას. პიტიახშის ინსტიტუტი სასანიანთა ირანში, პიტიახშობა ანტიკურ სომხეთსა და საქართველოში, მათი წარმოშობის გზები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები აღძრული თუ გადაჭრილი 1970 წელს გამოსულ ნაშრომში — „პიტიახშის ინსტიტუტის საკითხისათვის", მაცნე, 1970 წ. № 6. ამ შრომის მაღალმა მეცნიერულმა დონემ და მნიშვნელობამ მეზობელი ქვეყნების, სახელდობრ, სომხეთის ისტორიისათვის განაპირობა სომხური თარგმანის გამოქვეყნება.

გამოკვლევა პიტიახშის ინსტიტუტის შესახებ თამარ გამსახურდიას მიერ დაწყებული დიდი სამუშაოს ნაწილი იყო, სახელდობრ, თამარი ფიქრობდა ძველი საქართველოს სახელმწიფოებრივი სტრუქტურის შესწავლას, ფიქრობდა და არ დასცალდა. ბატონმა შოთა მესხიამ თამარს დიდი და საპატიო სამუშაო ანდო — მზადდებოდა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" [illegible] რომლის მეორე ტომის რედაქტორი, II—[illegible] საუკუნეების ისტორიას რომ მოიცავდა, შოთა მესხია გახლდათ. ამ პერიოდის საქართველოს ქალაქების ისტორიის დაწერა მან თამარს დაავალა. ეს ახალგაზრდა მეცნიერისთვის დიდი გამოცდა და პასუხსაგები სამუშაოთი ნახალისებაც იყო. თამარმა დიდი სკრუპულოზობით იმუშავა, დაწერა შესანიშნავი ნაშრომი. მისი შრომის მაღალი მეცნიერული ღირსების საუკეთესო დასტურია ის, რომ 1988 წელს, 25 წლის შემდეგ, როცა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" II ტომის რუსული ვარიანტი მომზადდა, თამარ გამსახურდიას მიერ დაწერილ განაკვეთებს მხოლოდ უმნიშვნელო სარედაქციო ცვლილებები დასჭირდა.

თამარ გამსახურდია შესანიშნავი პედაგოგი იყო, მას უყვარდა სტუდენტები, თავისი პედაგოგიური საქმიანობა. უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტებთან ატარებდა სემინარებს, კითხულობდა ლექციებს საქართველოს ისტორიაში ფილოსოფია-ფსიქოლოგიის, ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსულ განყოფილებაზე, ჟურნალისტიკის განყოფილებასა და სხვა ფაკულტეტებზე. მას ხშირად ნახავდით სტუდენტებთან ერთად ქართული კულტურის ძეგლებთან, მცხეთასა და უფლისციხეს თუ სხვა ნაქალაქარ-ნასახლარში, სადაც ახალგაზრდებს აუდიტორიებში მიღებულ ცოდნას ულრმავებდა.

ბედნიერება მხვდა წილად მემუშავა მასთან ერთად და ვყოფილიყავი მოწმე იმისა, თუ რა დიდი ტაქტით და რუდუნებით ცდილობდა გადაეცა ცოდნა სტუდენტებისათვის, დახმარებოდა შუასაუკუნეთა ქართული საისტორიო თხზულებების შესწავლაში, ან რა დიდი გატაცებით უკითხავდა სტუდენტებს სახელოვან ქვის წარწერას: „მე ვარ სერაფიტა, ასული ზევახისა... ის, ვინც იყო ახალგაზრდა და იმდენად კეთილი და მშვენიერი, რომ არავინ იყო მისი მსგავსი სილამაზით და გარდაიცვალა ოცდაერთი წლისა"... თითქოს გრძნობდა, რომ ამ ეპიტაფიის ნაწილი მისი საფლავს ქვაზე [illegible] ლიყო.

მერმე სენი შემოიპარა, ზაფხულის ცხელ დღეებში [illegible] თავისი ბოლო ნაშრომის კორექტურას და მკვლევარები მოელოდნენ წიგნის გამოსვლასა და კოლეგების, მკითხველი საზოგადოების მსჯავრს. ვერც ამას მოესწრო.

[illegible] შეხვდა... ამ დღეს მასთან მისი უსაყვარლესი [illegible] მისი სიცოცხლის დღეები დათვლილი იყო...

სიცოცხლის ბოლო დღემდე სრულყოფილი ცხოვრებით ცხოვრობდა — აინტერესებდა სამეცნიერო საქმიანობა, უნივერსიტეტის მუშაობა, ისტორიის ფაკულტეტის პერსპექტივების ნახვა, ახალი გამოკვლევები და ჩვენი მეცნიერების ახალი მიღწევები.

თამარ გამსახურდიას არ დასცალდა თავისი დიდი ნიჭი, უნარი, განათლება და ცოდნა საყვარელი საქმისათვის, საქართველოს ისტორიის შესწავლისთვის ბოლომდე მოეხმარებინა, არ დასცალდა, მაგრამ, ხანმოკლე სიცოცხლის მიუხედავად, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეროვნული ისტორიის შესწავლის საპატიო საქმეში.

1973 წლის ოქტომბერში, შემოდგომის ნაღვლიან დღეს, თამარ გამსახურდია საყვარელი დედის გვერდით, კოლხური კოშკის ეზოში დაკრძალეს. ბევრი ცრემლი, გულისტკივილი გამყვა მას.

რამდენი გეგმა ჰქონდა, რამდენი აუხდენელი სურვილი წაიღო თან...

1986 წლის 5 მაისს, თამარის დაბადების დღეს, უნივერსიტეტში მას ხსოვნას საგანგებო სხდომა მიეძღვნა. იყო სევდა და ცრემლი, იყო ცდა მისი მეცნიერული მუშაობის შეფასებისა და შეჯამებისა, იყო მოგონებები მისი მეგობრების, ახლობლების დიდი გულისტკივილი. თამარი ხომ ყველაფრის გარდა, შესანიშნავი მეგობარი იყო — ბევრს ახსოვს მისი ყურადღება, დახმარება, თანაგრძნობა...

მას უფლება ჰქონდა ბედნიერი ყოფილიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ უფლება. ცხოვრებამ, სასტიკმა სენმა თავისი უსამართლო განაჩენი გამოუტანა.

**მარიამ ლორთქიფანიძე**

1989წ. 24 ივნისი.

# გაიხარებდა პატარა ქალი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ფანჯარასთან ლურჯთავსაფრიანმა პატარა ქალმა ჩაიარა ისევ. წელან კარაქი მიჰქონდა — სამი შეკვრა, ახლა ნახევარი პური ეჭირა და რაღაცნაირად ბებრულად უცაცუნებდა თითებს. ხუთი წლის წინათ, როცა პირველად ვნახე, ისევ ეს დრო იყო. იანვრის მიწურული თუ თებერვლის დამდეგი. შავი პალტოს საყელოზე, ვერცხლისფერი მელიის ბეწვი ჰქონდა შემოვლებული. თავზეც ასეთივე ბეწვის ქუდი ეხურა. საყურეებიც ეკეთა, რაღაც იასამნისფერი თვლით. მაშინ დაახლოებით ორმოცდაათი წლის იქნებაო, ვამბობდით მე და ცირუ. თეთრი, ქათქათა პირისკანი უბზინავდა და რამდენჯერ გვითქვამს, ნახე რა ქალია, თავს როგორ უვლის, ყოველთვის ასე გამოწყობილი და პომადიანი, როგორ ახერხებს მაღაზიაში გადასვლასო.

მაღაზია ჩვენი ერთადერთი ფანჯრიდან ისე ჩანდა, როგორც ჩარჩოში ჩასმული ძველი გრავიურა. უცნაური ფორმის ფანჯარა იყო, მართკუთხა. ერთი შუშით და მთლიანად იღებოდა. წინათ ჩვენს დიასახლისს აქ, მგონია, სამზარეულო ჰქონდა. დაუდევრად მოვისხამდით საშინაო ხალათზე პალტოებს და პურზე ისე გადავრბოდით. მაღაზია ღიაცისფრად (არა უფრო შაბიამნისფრად) იყო შეღებილი. ძველი ცრუ იტალიური სტილით ნაშენები შენობა იყო. ფანჯრები და კარები, ვიღაც წვერებიანი იტალიელის გორელიეფით იყო დამშვენებული. საღამოობით ამ თავების მეშინოდა ხოლმე. თუ ძალიან გვიან მქონდა ლექცია (საღამოთი ვსწავლობდი), ინსტიტუტშიცვე მახსენდებოდა ხოლმე იტალიელის წვერებიანი თავი. არასოდეს არავისთვის მითქვამს, რომ მეშინოდა. მრცხვენოდა. ახლაც სასაცილოა, რომ გამახსენდება, მაგრამ მაშინ, როგორც კი ჩამოვიდოდი ავტობუსიდან, იშვიათად თუ ვინმე დამემგზავრებოდა. ღამის თერთმეტზე და თორმეტის ნახევარზე კაცის ჭაჭანება არ იყო. მივუახლოვდებოდი თუ არა მაღაზიას, მაშინვე კის-



მხატვარი ნანი შალიკაშვილი

რისტეხით ჩავურბენდი, მეჩვენებოდა თითქოს წვერებიანი, შაბიამნისფერი თავები მიახლოვდებოდნენ ზუზუნით და შხუილით. ერთხელ გაზაფხულზე, ჩვეულებრივად, გვიან მომიწია დაბრუნება. ავტობუსიდან ჩამოვედი, რა თქმა უნდა, იქ ვიღაცეები აუცილებლად ჩამოდიოდნენ, მაგრამ თითქოს ჯინაზე ყველა იქითა ქუჩებისაკენ ცხოვრობდა. ჯერ ნელა წამოვედი, მერე, როცა მაღაზიას მივუახლოვდი და უნდა გავქცეულიყავი, ვიღაცამ ჩანთაზე ხელი მომკიდა. მოვიხედე, ის ქალი იყო. თოჯინასავით პატარა და ლამაზი. მელიის ვერცხლისფერი ბეწვიანი, რენუარის რომელიღაცა ნახატს ჰგავდა. მაშინ მხოლოდ ის ვიცოდი მასზე, რომ სადღაც, შორს მუშაობდა ქალაქიდან და ჩვენი დიასახლისის ეზოში დარგული, თეთრი და წითელი კამელიის ბუჩქი ამ ქალის ნაჩუქარი იყო. კიდევ ის, რომ მცენარეები და ყვავილები უყვარდა და ზურგს უკან დასცინოდნენ. სამსახურიდან რომ მოდის, საჭმელსაც არ იმზადებს, ეს უბედური, სულ მაგ ბუჩქებს და ყვავილებს შეალია ჯანმრთელობაო. ჰოდა, ახლა ჩემს წინ იდგა, მელაპარაკებოდა, ცოტათი აღელვებული და ფერმკრთალი.

— თქვენ მარიას მდგმური ხართ? მე ხომ მიცნობთ? თქვენი მეზობელი ვარ. თქვენ საღამოზე სწავლობთ არა? — ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობდა ქალი.

— გიცნობთ, როგორ არა. ვუთხარი მე და მაღაზიისკენ მივიხედე. წვერებიანი იტალიელი სულაც არ იყო მრისხანე და საშიში, ის კი არა საწყალი და მიუსაფარიც კი მეჩვენა. გულიც, რა თქმა უნდა, წყნარად მუშაობდა თავისთვის საგულეში. ჩვენს სახლს მივუახლოვდით. ქალმა შემაჩერა და ჩუმი სიცილით მითხრა:

— იცით, ბავშვობიდან მეშინია საღამოობით იმ თავებისა.

— რა თავების? — უცებ ველარ მივხვდი.

— აი, იმ თავების, მაღაზიის შენობაზე... — და სიცილი აგვიტყდა ორივეს. ვიცინოდით დიდხანს და ამ სიცილში ვუთხარი, რომ მეც მეშინოდა ღამით იქ გავლა, იმ თავების გამო. მერე დამემშვიდობა და სანამ წავიდოდა, მკითხა ყვავილები თუ გიყვარსო.

— რა თქმა უნდა-მეთქი, — ვუთხარი.

აბა კარგად იყავი და მერე ჩემთან შემოიარე აუცილებლად, ჩემი ეზო უნდა დაგათვალიერებინოო.

დავემშვიდობე, მშვენიერ ხასიათზე ვიყავი. ცირუმ მკითხა: რა გაცინებდათ ამ შუაღამისას, ასე ჩაბჟირებით ან იმ დარტყმულს, ასე კარგად როდიდან იცნობო. ვინ დარტყმულს-მეთქი, გამიკვირდა, რადგან ამ ქალს ყოველ დილით ვესალმებოდით ორივე და მოხიბლული ვიყავით მისი სილამაზით. ცირუმ შემომხედა და როგორც შეეძლო, სერიოზულად თქვა: — რა, არ იცით, რომ ეს ქალი გიჟია?!

— რა ეტყობა, რომ გიჟია, კი მაგრამ... დალაგებულად მითხარი. რაო?

— რა და, საქმრო ჰყოლია ჯარში ომის დროს. ელოდებოდა თურმე, ძალიან ლამაზი ყოფილა...

— ეგ ეხლაც ლამაზია. შენ ნორმალურად მიამბე, მერე?

— რა მერე, ელოდებოდა. თუ ვინმე კაცი იყო ახლო-მახლო, ყველას მოსწონდა. სათხოვნელადაც ბევრი მოდიოდაო, არ გათხოვილა. დედა ჰყოლია მხოლოდ, ისიც შიმშილობის დროს მომკვდარა. ეს კი ელოდებოდა, თურმე, იმ თავის საქმროს. დინჯად, თითქოს მაგის ლოდინზე იყო დამოკიდებული ფრონტზე იმ ბიჭის სიცოცხლე. ორმოცდაოთხში დაღუპვის ცნობა მოსვლიათ იმ ბიჭის მშობლებს. უტირიათ და ყველაფერი თავისი წესით გადაუხდიათ, ორმოციც და წლისთავიც. ამ ქალს კიდევ წარბიც არ შეუხრია, უნდა ჩამოვიდეს, შეუძლებელია, რომ არ ჩამოვიდესო. ზოგი დასცინოდა, რაზე იკლავს ეგ უბედური თავს, შაქრია ნოქარს გაჰყვეს, არ ურჩევნიაო? მაგრამ არავის უყურებდა თურმე, ზედ. დადიოდა პატარა თოხით ხელში, ყვავილებსა და ხეებს უვლიდა სადღაც, შეიძლება დენდროპარკში ან სულაც ბოტანიკურ ბაღში. მერე-დამერე, სახლშიც მოაშენა ყვავილები და ბუჩქები. თუ წამოგცდა, ყვავილები მიყვარსო, შინ მიგიპატიჟებს, თან დაგარიგებს, ასე მოუარე და ისე მოუარეო, შენი ჭირიმე არ გაახმო, ხომ არ მოიწყინესო. მოკლედ, თავს მოგაბეზრებს, თურმე.

ცირუმ შემომხედა. წარბები შევიკარი.

— რაც თავი მახსოვს, ჩემო ცირუ, და გამიგონია, გიჟი ის არის, ქვებს რომ ისვრის. ამ ქალს, როგორც, გამიგია, მაგისთანა რამ ჯერ არ ჩაუდენია. ვარას რა უნდა, მაგას ვკითხოთ, ვის დაველაპარაკები? ჭორიკნების დედოფალი! ზის და ან პენსიას ელოდება, ან ბინის ქირას, ან კიდევ კატოს — საჭორაოდ. წავიდეს, თავის რძალს მიეხმაროს შვილიშვილების გაზრდაში. კამელიები ხომ კარგად უყვავის, მაგ ქალის ნაჩუქარი? ახლა გიჟია? — ცირუმ ჩაი დაასხა და შემომხედა: — რას მიყურებ, ტყუილია?

— იცი რა? თურმე ის კაცი ცოცხალი ყოფილა.

— ვინ კაცი?

— ვინ და ის, საქმრო...

— შენ რა ნაწილ-ნაწილ მიამბობ, მერე!

— რა, მერე, ჩამოსულა 15 წლის შემდეგ ომის დამთავრებიდან, ცოლით და ორი შვილით. თურმე, აქ ცხოვრობს, სადღაც, ახლოს.

— არ გადამრიო, — შევიცხადე, — მე ნამდვილად გავგიჟდებოდი მაგის ადგილას. კიდევ კარგად არის, ის საწყალი.

— აბა, აბა! საწყალი. ის კი არის, რაღაცნაირი, არა? — კითხვით შემომხედა ცირუმ:

— ჰო! თითქოს სადღაც შორს იყურება, როცა გელაპარაკება. — თანდათან ვიხსენებდი და უკვე მინდოდა, რომ მართლა დარტყმული ყოფილიყო, იმიტომ, რომ სხვანაირად არ შეიძლებოდა, იმიტომ, რომ ეს ასეთი ერთგულება სხვანაირად შეუძლებელი იყო.

— იცი, თურმე, რა უთქვამს? — შემომხედა ცირუმ.

— რაო? თქვი გოგო, რა სასწრაფოდ დაბერდი და სკლეროზი დაგემართა, — გავუბრაზდი ცირუს.

— რა და ასე უთქვამს, მე რომ გავთხოვილიყავი, ის ომიდან ვერ დაბრუნდებოდაო.

ცირუმ ხელები ნიკაპქვეშ ამოიდო. გავიხადე და დავწექი. აი, თურმე, როგორი ყოფილა! ჩვენ კიდევ ვამბობდით, არაფერი არ აწუხებსო, რა კარგად გამოიყურებაო, რა სულელია, რა ავადმყოფურად უყვარს ყვავილებიო. ბენგალური ქოთნის იები ბაზარში თუმანი ღირს, ჩვენ კი გვიკვირდა, როგორ ურიგებდა ყველას აყვავებულ და გახარებულ იის ბუჩქებს. პირველად არც მჯეროდა. იმდენი ვინმე ჩამოივლიდა ხოლმე ქოთნით ხელში, მეგონა ყიდის-მეთქი. მერე, მეგონა, სულო ცოდვილო, ალბათ სადღაც რომ მუშაობს, იქიდან მოაქვს-მეთქი. თურმე ის ახარებდა რომ ასე გახარებული და ნაჩუქარით სახეგაბრწყინებული იყო ყველა, ვინც იით ან სხვა ყვავილით ხელში ჩამოივლიდა იქიდან.

იმ ღამეს ძალიან განვიცადე პატარა მეყვავილე ქალის ბედი. მერე და მერე ხან პრაქტიკაზე ვიყავი სხვა ქალაქში, ხან სოფელში და დიდი ხანი ვერ ვნახე ის ქალი. ახლა კი ექვსი წლის შემდეგ ჩამოიარა და ძლივს ვიცანი. ძალიან დაბერებულიყო. ლურჯი სქელი თავსაფარი ეხურა. პურს თითებს რაღაცნაირად, ბებრულად უცაცუნებდა. ვარა დეიდას ვუთხარი, როგორ დაბერებულა-მეთქი. აბა რა იქნებოდაო, — მითხრა. შემოდგომაზე, შარშან თუ შარშანწინ სოფელში ჩასულა ნათესავთან. მთელი ყვავილები ეზოში ჰქონია, რომ ჩამოსულა, სულ დამზრალი დახვედრია, ნაადრევმა ყინვამ დააზრო თურმე. მთელი თვე ლოგინად ჩავარდნილა, ძლივს მოუბრუნებიათ მეზობლებს. ახლა არც ერთი ყვავილი აღარა აქვს და სულ მთლად შეირყა, ის უბედური. ეჰ! ომი რომ არ ყოფილიყო, ვინ იცის, რა ქალი დადგებოდა და რა შვილები გაეზრდებოდაო, — ამოიოხრა ვარა დეიდამ. ძლივს წამოდგა, — მგონია ისევ ამიწია წნევამო. ერთი სათხოვარი მაქვს შენთანო. — რა სათხოვარი-მეთქი, ვარა დეიდა! — ნადიო, მითხრა, უბნის ქალები კატოსთან ქოთნის ყვავილებს აგროვებენ, ჩემი ორი ლურჯი და ვარდისფერი იის ქოთანი წაიღე, იმ საწყალ ქალს უნდა წაუღონ საღამოს. იქნება ცოტა მოვიდეს ჭკუაზე და გაიხაროსო. ასეთი ვარა ჯერ არ მენახა. ტიროდა კიდეც. მე წავიღე კატოსთან ის ორი ქოთანი ია. ალბად გაიხარებდა საღამოს პატარა ქალი.

ცოტა ხნით მაინც გაიხარებდა...

თინათინ ჭეჟია



რედაქციაში შემოსულია წერილები გურჯაანის, თელავის, საგარეჯოს რაიონებიდან, მრავალშვილიანი დედების, თბილისის ტელევიზორების ქარხანა „ეკრანის" თანამშრომელთა ხელმოწერით, აგრეთვე ცალკეულ პირთა წერილები, რომელთა ავტორები (ქალები) კატეგორიული წინააღმდეგნი არიან, ქალები ჩაებან სპორტის ისეთ სახეობებში, როგორიც არის ფეხბურთი, ჭიდაობა, კარატე და სხვა, მამაკაცთა სპორტს რომ მიეკუთვნება.

ამ საკითხის გამო რედაქციამ თხოვნით მიმართა სპეციალისტებს. გთავაზობთ მათ აზრს.

# სპორტი და ქალი

ცნობილია, რომ სამოცდაათიან წლებამდე ქალები არ მონაწილეობდნენ სპორტის ისეთ სახეობებში, როგორიცაა ფეხბურთი, ძალოსნობა (სიმძიმეების აწევა), ჭიდაობა, ათლეტური ტანვარჯიში, მარათონული სირბილი და სხვ. ოთხმოციანი წლებიდან სპორტის აღნიშნულ სახეობებში ვარჯიში სუსტი სქესის წარმომადგენელთათვის ჩვეულებრივ საქმედ იქცა. ისიც აღსანიშნავია, რომ სპორტის იმ სახეობებში, სადაც ქალები დიდი ხანია მონაწილეობენ, არნახულად გაიზარდა საწვრთნელ-სამეცადინო და საშეჯიბრებო ხასიათის ფსიქოემოციური და ფიზიკური დატვირთვა, ადრეულ სპორტულ სპეციალიზაციასთან ერთად (მაგალითად, გოგონებს წვრთნა ეწყებათ ცურვაში, ფიგურულ სრიალში, ტანვარჯიშში, ფარიკაობაში და სხვ. 5-6-7 წლის ასაკიდან), რაც მოითხოვს განსაკუთრებულ მკაცრ საექიმო მეთვალყურეობას.

წარსულში ყველასათვის ცნობილი იყო, რომ ფიზიკური კულტურა და სპორტი დადებითად მოქმედებდა ადამიანის (ქალის) ორგანიზმზე და ხელს უწყობდა მის გაჯანმრთელებასა და ფიზიკური მუშაობის უნარის გაზრდას. ეს დებულება დღესაც ძალაში რჩება მხოლოდ ფიზიკური კულტურისათვის, რაც შეეხება სპორტს, რომელმაც მთელ მსოფლიოში თითქმის პროფესიული სახე მიიღო, არ შეიძლება ზემოაღნიშნული ყველა შემთხვევა მივიჩნიოთ ისეთ ღონისძიებად, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანის ორგანიზმის გაჯანმრთელებას. ამოჩნდა, რომ თანამედროვე სპორტი არც თუ იშვიათად უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე და, კერძოდ, ქალის სასქესო ორგანოებზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა სპორტული წვრთნა არარაციონალურად ტარდება.

დაკვირვებამ ნათელყო, რომ ბევრი მაღალკვალიფიციური სპორტსმენი ქალის ორსულობა არაფიზიოლოგიურ პირობებში მიმდინარეობს, ურთულდება მშობიარობა და ვლინდება სასქესო ორგანოების მთელი რიგი პათოლოგიური გადახრები. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თანამედროვე სპორტში გოგონებს შორის ძალიან ხშირია განთესვა, ანუ ვარჯიშისათვის თავის დანებება. ეს კი იმით არის განპირობებული, რომ გოგონები ხშირად ვერ უძლებენ დიდ ფიზიკურ დატვირთვას, რაც გარკვეულად მათ სასქესო სფეროზეც იწყებს უარყოფით მოქმედებას.

სპორტსმენ ქალთა ორგანიზმის ბიოლოგიური თავისებურებებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფიზიკური ვარჯიშის დროს მენსტრუალური ციკლის მხედველობაში მიღებას. მენსტრუაცია თავის მხრივ მეტად მნიშვნელოვან ცვლილებებს ანვითარებს ქალის ორგანიზმში და მას თუ კიდევ დაემატა ფიზიკური ვარჯიშის ძლიერი მოქმედება, ბუნებრივია, რომ ქალის ორგანიზმმა ამ დროს შეიძლება თვალსაჩინოდ განიცადოს ფუნქციური მდგომარეობის შეცვლა. რამაც, შესაძლებელია, გამოიწვიოს თავის მხრივ მის ორგანიზმში ფიზიოლოგიურად მიმდინარე პროცესების დარღვევა.

საერთოდ, დადგენილია, რომ მენსტრუაციის პერიოდში სპორტსმენ ქალებს გარკვეულად უქვეითდებათ სპორტული შრომის უნარი.

მწვრთნელებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მენსტრუაციის პერიოდში ქალებს გარკვეულად შეუმცირდეთ ფიზიკური დატვირთვა. სადღეისოდ მენსტრუაციის პერიოდი, თუ კი იგი ფიზიოლოგიურად მიმდინარეობს, სპორტსმენი ქალებისათვის შეჯიბრებაში მონაწილეობის თვალსაზრისით წინააღმდეგ ჩვენებად არ უნდა ითვლებოდეს. ისიც ცნობილია რომ, რაც უფრო გვიან ეწყებათ გოგონებს მენსტრუაცია, მით უფრო დაბალია მათი ფიზიკური მუშაობის უნარი და შესაბამისად სპორტული მიღწევა. სწორედ აქცელერანტი გოგონები ხასიათდებიან მაღალი ფიზიკური და სპორტული მუშაობის უნარით, რაც მათი ორგანიზმის ნაადრევი ფიზიკური და სქესობრივი მონაცემებით არის განპირობებული.

თანამედროვე სპორტში, როგორც მამაკაცთა, ისე ქალთა შორის, სულ უფრო ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა სპორტსმენები შეჯიბრებებისათვის მზადების პერიოდში და უშუალოდ, შეჯიბრების დღეს იღებენ დოპინგს (აღმგზნებ საშუალებებს), უპირატესად ჰორმონალური პრეპარატების (ანაბოლიკების) სახით, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მათში ფიზიკური მუშაობის უნარს და შესაბამისად სპორტულ შედეგებსაც. მაგრამ სადღეისოდ დადგენილია, რომ იმ სპორტსმენ ქალებს, რომლებიც იღებენ სხვადასხვა დოპინგს, განსაკუთრებით, თუ ეს საშუალებები ჰორმონალური წარმოშობისაა, შემდეგში უვითარდებათ სასქესო სფეროს დარღვევები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს უშვილობა.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ „თანამედროვე ქალთა სპორტი" მოითხოვს სპორტსმენი ქალებისადმი საექიმო და გინეკოლოგიური კონტროლის დაწესებას, ვინაიდან სამშობლოს მაღალი კლასის სპორტსმენთა გარდა, მრავალშვილიანი და ჯანმრთელი დედები არანაკლებ სჭირდება.

ჩვენი შეხედულებით არამიზანშეწონილია, რომ ქართველი გოგონები გატაცებული იყვნენ იმ „მოდური" სპორტის სახეობებით, რომლებიც თავისი ბუნებით მამაკაცთა სპორტს მიეკუთვნებიან. მართალია ეს მოვლენა დღეს მთელ მსოფლიოში აღინიშნება და იგი ნაწილობრივ ბიზნესთან არის დაკავშირებული, მაგრამ მაინც, უნდა გვახსოვდეს, რომ ქართველმა ქალმა ყველაფერი უნდა იღონოს იმისათვის, რათა გაამრავლოს ჩვენი ერი. უნდა გვახსოვდეს, რომ ქალის ორგანიზმისათვის შეუსაბამო ძლიერმა ფიზიკურმა დატვირთვამ (კუნთურმა მუშაობამ) ადვილი შესაძლებელია დააქვეითოს ქალის სასქესო ორგანოთა ფუნქცია, რაც ხშირად უშვილობის ერთ-ერთი მიზეზი ხდება.

გივი ბაქრაძე,
რკინიგზის სამედიცინო სამსახურის მთავარი გინეკოლოგი;

რომანოზ სვანიშვილი,
სამკურნალო ფიზკულტურისა და საექიმო კონტროლის კათედრის გამგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძროხა და შავი სათვალე

სოკოებივით მომრავლებულ კომერციულ მაღაზიებში ვისაც არ შეუვლია, ალბათ, არ დაიჯერებს. მზის ერთი იმპორტული შავი სათვალე 1.200-1.800 მანეთი ღირს.

რესპუბლიკის რაიონებსა და სოფლებში კი თითქმის ამდენივე ღირს ერთი მეწველი ფური. 2.000-2.500 მანეთად ჯიშიანი ძროხა შეიძლება თავის ხბოიანადაც იყიდო.

ამ შეუსაბამობას ზოგნი გარდაქმნას, რადიკალურ ეკონომიკურ რეფორმებსა და საბაზრო ეკონომიკას უკავშირებენ. ამბობენ, ესეც შენი თავისუფლება და ეკონომიკური სუვერენიტეტიო. კოოპერატივებივით, კომერციული მაღაზიებიც ნებადართული სპეკულაციის, საზღვარგარეთ მიმომფრენ სპეკულიანტთა ბუდეებად გადაიქცნენო. არც უამისობაა. მაგრამ, აქ გარდაქმნა, რადიკალური ეკონომიკური რეფორმები და მით უმეტეს საბაზრო ეკონომიკა არაფერ შუაშია.

საქმე ის არის, რომ ჩვენთან, ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში და კერძოდ, საქართველოშიც, არავითარი რადიკალური გარდაქმნა ჯერ არ მომხდარა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა კი მხოლოდ პერსპექტივაშია მოსალოდნელი. ჯერჯერობით საუბარია გარდამავალ პერიოდზე. იმაზე, რომ დაშვებული იქნას კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებსა და მიწაზე, შეიქმნას სამართლებრივი საფუძვლები, მოხდეს სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია და ა. შ. პრობლემები უამრავია, მათ შორის ფასებისაც. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფასებს ძირითადად მიწოდებისა და მოთხოვნილების დონე განსაზღვრავს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კონკურენცია ხარისხიანი პროდუქციის უხვად და იაფად წარმოების მასტიმულირებელია. ამავე დროს, ამბობენ, რომ თავისუფალი ვაჭრობა ფასების შეუსაბამო გადიდებასაც დაამუხრუჭებს. წარმოებასაც და ვაჭრობასაც მოგება აუცილებლად უნდა ჰქონდეს, რადგან სხვანაირად ვერანაირი ფერმა და ფირმა ვერ იარსებებს, მაგრამ სიუხვე და კონკურენცია ყველა შემთხვევაში მომხმარებლის ჯიბეს, მსყიდველობით უნარიანობასაც ემორჩილებაო. ერთი სიტყვით, საბაზრო ეკონომიკის პირობებში საგნებს თავისი ნამდვილი ფასი ადევს, ფულს იოლად და უშრომლად ვერავინ შოულობს და არც ქარს ატანენ.

თუ შეიტყვეს, რომ ჩვენთან ძროხისა და მზის შავი სათვალის ფასი გათანაბრებულია, ხოლო 1.200-1.800 მანეთიან სათვალეს მყიდველიც ჰყავს, აუცილებლად შეიტანენ მსოფლიოში მომხდარ საოცრებათა და უცნაური „რეკორდების" ალმნუსხველ გინესის წიგნში არა მარტო მყიდველთა გვარებს, სათვალეების პატრონებისასაც, რომელთაც სათვალეები კომერციულ მაღაზიებს გასაყიდად ჩააბარეს და თვითონ მაღაზიებსაც. პირადად რომ მკითხონ, ჩემის აზრით, გინესის წიგნში შეტანას ის სახელმწიფოც იმსახურებს, სადაც ასეთი ანომალიები ხდება. ასეთი რამ არც მომხდარა და არც შეიძლება მოხდეს საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში. ეს მხოლოდ ჩვენთან, „გეგმიური" საბჭოური ეკონომიკის პირობებშია შესაძლებელი. ამიტომ საბაზრო ეკონომიკა და მით უმეტეს კომერციული მაღაზია, არაფერ შუაშია.

კომერციულ მაღაზიას თუ საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის, სამეურნეო-ეკონომიკური რეფორმებისა და თავისუფალი ვაჭრობის პირმშოდ მივიჩნევთ, უნდა ვაღიაროთ, რომ საბაზრო ეკონომიკა ზნეობრივი ყოფილა და აი, რატომ:

ის სათვალე, რომელიც მართლაც წარმოუდგენლად ძვირი ღირს, კომერციული მაღაზია რომ არ ყოფილიყო, მაინც ასევე და უფრო ძვირადაც გაიყიდებოდა. სპეკულაცია კვლავ ფარულად იარსებებდა, კომერციული ვაჭრობის გარკვეული პროცენტი კი ახლა სახელმწიფო ბიუჯეტში ხვდება.

გამომჟღავნდა არა მარტო ის, რომ ჩვენი საბჭოური ცხოვრების, სოციალისტური ეკონომიკის წიაღში წარმოიშვა ჩრდილოვანი ეკონომიკა და იატაკქვეშა მილიონერების კასტა, საშინელი ქონებრივი და სოციალური უთანასწორობა და უსამართლობაც. ზოგნი 1.200-1.800 მანეთს მზის შავ სათვალეში იხდიან და ქვეყანას ვარდისფერი სათვალით უყურებენ, ბევრს კი მარჩენალი ძროხის შესაძენად ამ თანხის დაგროვება ოცნებად აქვს გადაქცეული. ამასთანავე გაუკულმართებულია ნივთებისა და ფულისადმი ადამიანის დამოკიდებულებაც. არც ერთი კაპიტალისტი და კაპიტალისტური ქვეყნის მცხოვრები სათვალეში ძროხის ღირებულებას არ გადაიხდის. ასეთ ქარაფშუტობას არ გამოიჩენს თუნდაც ქარის მიერ მოტანილი ფულისადმი. არასოდეს გამოიჩენს ჩვენებურ წინდაუხედაობას, უაზრო ხელგაშლილობას, ფუქსავატობას, რაც საგნებისა და ნივთებისადმი მოდურ კერპთაყვანისცემაში გადადის. მისი ეს ხასიათიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში ცხოვრებით არის ჩამოყალიბებული. იქნებ ზოგს არც მოეწონოს მათთვის დამახასიათებელი მომჭირნეობა, ანგარიშიანობა, სიძუნწეც კი.

რას იზამ, მკაცრი და მომთხოვნი საბაზრო ეკონომიკა ბევრ რამეს გვასწავლის და, ალბათ ვისწავლით კიდეც, ამის იმედს იძლევა ისიც, რომ ჩვენთანაც, ყველაფრის მიუხედავად, აზრად არავის მოუვა ძროხა სათვალეში გაცვალოს.

ანზორ ფუხაური

# ქალთა ჯანმრთელობის დაცვის ზოგიერთი საკითხი

ქალთა ჯანმრთელობა სახელმწიფოს ძლიერების საფუძველთა საფუძველია, რამეთუ ორსულობის პერიოდში ქალის ჯანმრთელობის მდგომარეობაზეა ძირითადად დამოკიდებული მომავალი საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობა და კეთილდღეობა.

იმის მიუხედავად, რომ ქალთა შრომის პირობების მოწესრიგების შესახებ რიგი სამთავრობო თუ საუწყებო დადგენილებები და ბრძანებები არსებობს, ქალები ჯერ კიდევ მუშაობენ ისეთ პირობებში, რომლებიც ხშირად ჰიგიენურ მოთხოვნებს მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებენ.

საგანგაშოა ის მდგომარეობა, რომ ქალები, რომელთა შრომა ღამის ცვლაში თითქმის აკრძალულია, ზოგიერთ საწარმოში სამი ღამე ზედიზედ მუშაობენ (რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხანა და სხვა), რაც უხეშად არღვევს ქალის ჯანმრთელობას, უკიდურესად ცვლის ცხოვრების რიტმს, ამორღვევს ბავშვთა აღზრდის თანამიმდევრულ საქმიანობას, ოჯახში ქმნის ნევროზულ ურთიერთდამოკიდებულებას და ხელს უწყობს ოჯახის ყველა წევრისა და კერძოდ, ქალის სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირებას.

რიგ საწარმოებში და სოფლად ქალები მუშაობენ ხანგრძლივი სამუშაო დღით (10 საათი და მეტი), გადააქვთ ცვლაში დიდი რაოდენობით მძიმე ტვირთი (28 ტონამდე). მუშაობენ ხმაურის, ვიბრაციის, არადამაკმაყოფილებელი მიკროკლიმატის პირობებში; მათ ორგანიზმზე მოქმედებს რიგი სხვა მავნე ფაქტორები: მტვერი, ქიმიური ნივთიერებები, ელექტრომაგნიტური, ელექტრული ველისა და სხვათა სახით.

ეკონომიკური დანაკლისების გამო ქალი ღრმად შეიჭრა კაცის საქმიანობაში და დაიკავა კაცური პროფესია (ხიდური ამწეს მემანქანე, ტრაქტორისტი, კომბაინერი და ბევრი სხვა).

შრომის მავნე პირობებში მუშაობამ, კვების, დასვენების, ძილის რეჟიმის დარღვევამ ქალთა ორგანიზმის დაცვითი უნარის მკვეთრი დაქვეითება გამოიწვია, რამაც არა მარტო სხვადასხვა დაავადების განვითარებას შეუწყო ხელი, არამედ უსუსური მომავალი თაობების დაბადების რეალური წყარო შექმნა. გახშირდა ბავშვებში ალერგიული, მთამომავლობითი დაავადებები, სიმახინჯეები, სისტემური დაავადებების განვითარება, სიცოცხლისუნარიანობის დაქვეითება და სხვა.

მეორეც, ქალთა ასეთმა უკიდურესმა გადატვირთვამ გამოიწვია ქალის მიერ საზოგადოებრივი საქმიანობისა და დედის, დიასახლისის, მეუღლის სახატო მოვალეობების ჰარმონიული შეხამება. გადაღლილმა დედამ ვერ წარმართა შვილის აღზრდის უმნიშვნელოვანესი მისია. დედა გაუცხოვდა ოჯახში, ბავშვი მთლიანად გადავიდა ქუჩის, დაიკარგა უფროს-უმცროსობის კეთილშობილი დამოკიდებულება, დაიკარგა მშობლის სითბოს აუცილებლობა ოჯახში, შვილი ჩაიკეტა თავის თავში, დაეცა მამის, როგორც ოჯახის უფროსის ავტორიტეტი (განსაკუთრებით იმ დროს, როცა დედა მამაზე მაღალ თანამდებობას იკავებს ან მეტი ცენზის მატარებელია), დაირღვა ოჯახური იდილია. ყოველივე ამან საფუძველი შეუქმნა ოჯახების დაშლას, დანაშაულობების ზრდას (განსაკუთრებით მოზარდებში), ნარკომანიის, ტოქსიკომანიის გავრცელებას, პროსტიტუციას, რაც საბოლოოდ მოსახლეობის სიკვდილიანობის მაჩვენებლების ზრდაში აისახა, აღნიშნულმა მდგომარეობამ მკვეთრად გააუარესა ჩვენი ქვეყნის საზოგადოების სახე და დემოგრაფიული სიტუაცია.

განა დრო არ არის სერიოზულად ჩავუფიქრდეთ ამ პრობლემებს და დროულად ვუშველოთ დაღუპულ საქმეს?

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია: 1. შეიქმნას დედების პროფესიის სტატუსი, მათი დედობრივი შრომითი საქმიანობის ანაზღაურებით, თუნდაც მინიმალური ხელფასის მიცემით (ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით). ანაზღაურება ბავშვის აღზრდისათვის შეიძლება მიეცეს ორსულობის დასაწყისიდანვე.

თუ ოპონენტები გამოუჩნდებიან ამ იდეას, მინდა საკითხი ასე დავაყენო: რით ჩამოუვარდება ოჯახში შვილის აღზრდა საზოგადოებრივ, პედაგოგიურ საქმიანობას? დედა ხომ ვალდებულია სამშობლოს ღირსეული შვილები აღუზარდოს. ამასთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო, რომ, ალბათ, არც ერთი მამა არ იქნება იმის წინააღმდეგი, რომ დედის გამოთავისუფლების ხარჯაბილიტაციოდ მათ მიემატოთ სამუშაო საათები 1-2 საათით (თუ ეს ასე აუცილებელი იქნება). 2. დღეისათვის, გარემოს გაჭუჭყიანების პირობებში, ადამიანის ორგანიზმის (და საერთოდ ყველა ცოცხალი ორგანიზმების) დაცვითი შესაძლებლობები მნიშვნელოვნად შემცირდა, მით უმეტეს, ორსულობის პერიოდში. ამას ემატება ისიც, რომ ორსული ქალის ორგანიზმი მომატებულ მგრძნობელობას იჩენს გარემოს ყველა ფაქტორისადმი, ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დავაყენოთ საკითხი ქალების რეპროდუქციულ პერიოდში (35 წლამდე) მავნე პირობებში მუშაობის აკრძალვის შესახებ, მით უმეტეს, ორსული ქალისა ორსულობის პირველივე პერიოდიდან. 3. მართალია დღეისათვის არსებობს მოქმედი კანონი იმის შესახებ, რომ ქალი ორსულობის დადგენისთანავე, მავნე საწარმოდან უნდა იქნას გადაყვანილი [illegible] მსუბუქ სამუშაოზე, მაგრამ [illegible] გადაადგილება ხდება [illegible] ან [illegible] საამქროში, სადაც [illegible] მავნეობა, [illegible] აღნიშნული [illegible] ქალისათვის [illegible] ორსული ქალისათვის სამიშია და ნაყოფისათვის მომაკვდინებელიც კი. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია განვახილოთ ქალის შრომითი მოწყობისა თუ გამოთავისუფლების შემდეგი ვარიანტები ორსულობის პერიოდში.

ა) ორსული ქალის მსუბუქ და უსაფრთხო სამუშაოზე გადაყვანა მოხდეს ხელფასის სრული ანაზღაურებით ორსულობის დადგენისთანავე, შემცირებული სამუშაო დღის პირობებში (სამუშაოს ხანგრძლივობა არა უმეტეს 2-3 საათისა), სამუშაო დღის დაწყებით 11 საათიდან, რომ გამოირიცხოს გადაღლა, სტრესული ფაქტორი ტრანსპორტში და სხვა.

ბ) ორსულ ქალს, რომელსაც აქვს მეუღლე, დასაქმებულს შვებულება მიეცეს ორსულობის დადგენისთანავე მინიმალური ხელფასის შენარჩუნებით.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდება [illegible] ნარკომანიით [illegible] და სხვა [illegible] და მათი უარყოფითი შედეგები, გაიზრდება [illegible] შედეგების გამოსწორებაზე დახარჯულ თანხებს, გაიზრდება ფიზიკურად და სულიერად ჯანმრთელი ახალგაზრდების რიცხვი, მოიმატებს ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა, შემცირდება ინვალიდთა რაოდენობა და სხვა. ამდენად, სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯები საერთოდ ქალთა და ორსულ ქალთა შრომისა და დასვენების სწორი ორგანიზაციისათვის გადაიფარება სიკეთითა და სვებედნიერებით.

ვ. ვაშაკიძე,
პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

# გახსენება



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი თამარ როდონაია დაიბადა 1915 წლის 1 სექტემბერს, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მოდინახეში, პროგრესული პედაგოგის ერასტი პავლეს ძე როდონაიას ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო ქუთაისში; 1933 წელს დაამთავრა ზუგდიდის პედაგოგიური ტექნიკუმი და იმავე წელს მუშაობა დაიწყო ზუგდიდის საბავშვო სახლში აღმზრდელ მასწავლებლად. 1934 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1939 წელს ზოოლოგიის სპეციალობით.

1940 წლის აპრილიდან ნოემბრამდე მუშაობდა მაღალი მთის ბიოლოგიური სადგურის მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო ნოემბრიდან კონკურსით ჩაირიცხა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიური სექტორის ასპირანტად. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, 1944-1945 წლებში ხელშეკრულებით მუშაობდა ზოოლოგიის ინსტიტუტში, ხოლო 1945 წელს მიიღეს ამავე ინსტიტუტის პარაზიტოლოგიის განყოფილებაში უმცროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე.

1946 წელს თამარ როდონაიამ დაიცვა დისერტაცია ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე „მასალები მეგრული თხის ჰელმინთოფაუნის შესწავლისათვის სამეგრელოში".

1948 წლიდან თამარ როდონაიას ამტკიცებენ უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო 1950 წელს ანიჭებენ უფროსი მეცნიერ თანამშრომლის სამეცნიერო წოდებას.

თამარის მეცნიერული მუშაობის სფერო ძირითადად ჰელმინთოლოგიას შეეხებოდა, მაგრამ ჰელმინთოლოგიურ გამოკვლევებში გააშუქა და გაანალიზა მრავალი ზოოლოგიური საკითხი და გამოაქვეყნა 60-ზე მეტი ნაშრომი.

ეკოლოგიურ-ფაუნისტიკური გამოკვლევების მიმართულებით თამარ როდონაიას შესრულებული აქვს რამდენიმე ათეული ნაშრომი, მათ შორის დიდ ყურადღებას იპყრობს მონოგრაფია: „საქართველოს სანადირო-სარეწაო ძუძუმწოვართა ჰელმინთები".

ქალბატონ თამარს ამ წერილის ავტორთან ერთად, შესწავლილი აქვს სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და ადამიანის ფასციოლოზისა და დიკროცელიოზის გეოგრაფიული გავრცელება საქართველოში, რის შედეგადაც დადგინდა საქართველოს ტერიტორიაზე მათი გავრცელების კანონზომიერებანი.

ყურადღებას იმსახურებს თამარ როდონაიას მიერ საქართველოს ენდემური ფორმის ტრემატოდა პარამფისტომუმ სკრიაბინის ბიოლოგიის შესწავლის შედეგები. სახელდობრ, თამარმა დაადგინა ამ პარაზიტის გავრცელება საქართველოში, ნაყოფიერება, განვითარების ვადები, შუამავალი მასპინძლები და სხვა. გამოავლინა ბიოლოგიური ბრძოლისათვის საუკეთესო საშუალება — მცირე ჭოგრიანი ჭია. თამარ როდონაიამ შეისწავლა კურდღლის ფილტვის ნემატოდის — პროტოსტრონგილუს ტეროკენსის ბიოლოგია, შემდეგ — სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა თვალის ნემატოდა — თელაზია როდეზის ბიოლოგია.

ადამიანის ცხოვრების მრავალი ღირსშესანიშნავი თარიღი აღინიშნება იმისდა მიხედვით, ცოცხალია პიროვნება თუ გარდაცვლილი. პირველ შემთხვევაში ასეთი თარიღების აღნიშვნას დიდი მნიშვნელობა აქვს თვით ადამიანის შემდგომი შემოქმედებითი საქმიანობის, მისი მომავლისათვის, მეორე შემთხვევაში კი, როცა ადამიანი ფიზიკურად აღარ არის, ასეთი თარიღების აღნიშვნას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სხვებისათვის, როცა მისი საქმიანობა, მისი მოღვაწეობა აღმზრდელობითი მნიშვნელობისაა, ეტალონია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი ახალგაზრდობა, ჩვენი მომავალი, სწორედ ასეთ ხასიათს ატარებს და ამ მიზანს ემსახურება ეს წერილი.

წელს თამარი 75 წლისა შესრულდებოდა. ამდენად მის წინაშე ვალდებულნი ვართ გავიხსენოთ ეს ამაგდარი ადამიანი, ვაუწყოთ საზოგადოებას, რომ ქალბატონი თამარის სახით ჩვენს სამშობლოს — საქართველოს ჰყავდა შესანიშნავი მეცნიერი, ადამიანი, მოქალაქე, მეგობარი.

ბორის ყურაშვილი
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

# ცოდვა

„დედა, ვიცი, შენ ძალიან ლამაზი თვალები გექნება. დედა, მე ისიც ვიცი, რომ ძალიან კეთილი ხარ, აღმზრდელები კი მეუბნებიან, დედაშენი ბოროტია, იმიტომ, რომ მიგატოვაო. ხომ ვიცი, რომ შენ არ მიგიტოვებივარ, უკვე დიდი გოგო ვარ და ვხვდები, რომ, ალბათ, ძალიან გიჭირს და ასე იმიტომ მოიქეცი, ხო დედა? მე გაპატიე, ოღონდ, მოდი რა, დედიკო, იცი როგორ მენატრები? ღამე სიზმარში სულ მეფერები, მკოცნი, ხან მეჩხუბები, მიწყრები, მაგრამ მე კი არ მწყინს... შენ ხომ გიყვარვარ, დედიკო, მოდი რა, ჩემო ლამაზო, ყველაზე კეთილო დედიკო! გელოდები!...“

ეს ბარათი შემთხვევით აღმოჩნდა ჩემს ხელში. წყნეთის უპატრონო ბავშვთა სახლში სტუდენტებმა კარნავალი გავმართეთ. მე კეთილი ჯადოქარი ვიყავი და, რა თქმა უნდა, ჯადოსნური ჯოხიც მქონდა. ალბათ, ამიტომ, მართლა ყოვლისშემძლედ ჩამთვალა პატარა გოგონამ და ეს წერილი ჩემს დედიკოს უჩვენეო, მთხოვა. შევპირდი, რა თქმა უნდა იმ საღამოს გოგონასთვის მეტად აღარ მომიკრავს თვალი. წამოსვლისას ძებნა დავუწყე, მინდოდა დამემშვიდებინა და მეთქვა, რომ მის დედიკოს წერილს აუცილებლად გადავცემდი, მაგრამ, ამაოდ, გოგონა არსად ჩანდა, უცებ შევამჩნიე, რომ საძილე ოთახის ფარდიდან ვიღაც მითვალთვალებდა. მივხვდი, ის იყო, მივედი და ხელი გავუწოდე, მოულოდნელად გულში ჩამეკრა და ჭკვიანი თვალებით მომაჩერდა, შენ ხომ კეთილი ჯადოქარი არა ხარ, შენ ხომ ჩვეულებრივი ადამიანი ხარ, რატომ მომატყუეო. შევკრთი, გავოგნდი. ჩვენ ბავშვების გასამხიარულებლად ჩამოვედით და, თურმე, ტკივილი მიგვიყენებია მათთვის. არა, პატარავ, ჯადოქარი მართლა არა ვარ, მაგრამ შენს დედიკოს მაინც ვიპოვი-მეთქი, შევპირდი.

ავტობუსი დაიძრა, ჩემი მეგობრები გამხიარულდნენ, ერთმა გიტარა აიღო და სიმღერა შემოსძახეს. მღეროდნენ თოვლზე, სიყვარულზე, დედაზე, მე კი თვალწინ მედგა პატარა გოგონა, სიცივისგან მობუზული, პაწია ხელებს რომ მიქნევდა და თან ცრემლად იღვრებოდა. ეს ბარათი მაშინ გავხსენი და მისი წაკითხვის შემდეგ უკვე ვტიროდი და საშინლად მტკიოდა რაღაც, მტკიოდა სიცოცხლე, მტკიოდა სიყვარული.

რამდენიმე დღის შემდეგ წყნეთის ბავშვთა სახლის დირექტორს მივაკითხე, იმ გოგონას ვინაობა ვკითხე, სალომე ჰქვიაო, — მითხრა. როცა ვკითხე, დედა თუ ჰყავს-მეთქი, გაჩუმდა, დედის ვინაობის გამხელა არ ისურვა. ძალიან შევეხვეწე, ვნახავ, ბავშვის წერილს გადავცემ მეთქი. ბოლოს გამიმხილა მისი მისამართი.

და აი, ვდგავარ მრავალსართულიანი სახლის ეზოში, ვტკეპნი თოვლს და ვერ გადამიწყვეტია ასვლა. „დედიკო, შენ ხომ ყველაზე ლამაზი და კეთილი დედიკო ხარ, მოდი რა, გელოდები“... თვალწინ წარმომიდგა ბავშვი, ცრემლიანი, ჭკვიანი თვალებით და კიბეებს შევუყევი. აი, მუხის ლამაზი კარი, ზედ ოქროსფერი წარწერა. ზარის ღილაკს თითი დავაჭირე, კარი ლამაზმა ახალგაზრდა ქალმა გამიღო, ვიკითხე, ვისაც ვეძებდი, — მე გახლავარო, მითხრა და შინ შემიპატიჟა. ლამაზად მოწყობილი მისაღებიდან ბავშვების ხმაური ისმოდა. თქვენები არიან-მეთქი? — მორიდებით შევეკითხე. — კი, სამი შვილი მყავსო, ამაყად მიპასუხა. ისეთი სათნო, კეთილი ღიმილი ჰქონდა ქალს, რომ გავიფიქრე, იქნებ შევცდი და ეს ის არ არის, ვისაც ვეძებ-მეთქი.

...ისევ პატარა სალომე წარმომიდგა თვალწინ. ბარათი ამოვიღე და მოულოდნელად ქალს ხელში მივაჩეჩე. სანამ ის კითხულობდა, თავჩაღუნული ვიჯექი. ზევით რომ ავიხედე, ქალი გაფითრებულიყო, თვალები ცრემლით ავსებოდა და ღმერთო ჩემო, რა საოცრად ჰგავდა ამ წუთში პატარა სალომეს. რამდენსამე წუთს ორივე ვდუმდით. ქალი უკვე მეათედ თუ მესედ კითხულობდა ბარათს და ტიროდა. ტიროდა ხმამაღლა. შემეცოდა, მაგრამ რა მექნა, არ ვიცოდი.

თუ ცოცხალი იყო, არ ვიცოდიო, — დარცხვენით ჩაიბუტბუტა. ამ დროს ოთახში პატარა შემობაჯბაჯდა და დედას ყელზე მოეჭიდა. დედიკო, ლა გატილებს? — ისევ სალომე წარმომიდგა თვალწინ, დედის ალერსს მონატრებული, რა ბედნიერი იქნებოდა-მეთქი ამ წუთში, ვფიქრობდი და აღარ მეცოდებოდა ქალი, მინდოდა მივვარდნილიყავი და სახე ჩამომეკაწრა მისთვის. ახლა, ალბათ, აღარ ღირს ბავშვის ნახვა, უფრო ეტკინება გულიო, — მითხრა, — მე ხომ ის სამშობიარო სახლში დავტოვე, რა მექნა, მისი გაზრდა არ შემეძლო, ხალ-



## ძვირფასო რედაქციავ!

დიდი მორიდებით გიგზავნით ჩემს რამდენიმე ლექსს. დიდი სურვილი მაქვს თქვენს ჟურნალში დაბეჭდვის, თუ ეს შესაძლებელია.

ვცხოვრობ მოსკოვში, ვსწავლობ მოსკოვის ლიტერატურის ინსტიტუტში. ვარ ოცი წლის. მყავს მეუღლე და პატარა გიორგი.

წინასწარ გიხდით დიდ მადლობას. გთხოვთ უყურადღებოდ არ დამტოვოთ.

დიდი პატივისცემით
**მანანა ბეგაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხი რას იტყოდა, მერე გავთხოვდი, შვილებმა ის ტკივილი დამავიწყესო.

სათქმელი უკვე ნათქვამი იყო. ავდექი, დავემშვიდობე, ბარათი გრჩებათო, — მომაძახა. ბარათი ცივად გამოვართვი და თქვენ მართლა ძალიან ლამაზი ყოფილხართ-მეთქი, ვუთხარი. გაჩუმდა, თავი ჩაღუნა, აუცილებლად მივალ და ვნახავო. ქუჩაში მიმავალი საკუთარ თავს ვკიცხავდი, რას ვერჩოდი იმ ქალს რას ვუფორიაქებდი სულს, ყოფილიყო თავისთვის. ის ბავშვიც გაიზრდებოდა. იქნებ, მართლა აღარ არის საჭირო დედის გაცნობა, ღირს კი? მაგრამ როგორც კი წარმომიდგებოდა თვალწინ სალომეს ცრემლიანი მუდარა, ჩემს დედიკოს ხომ ნახავო, აღარ ვიცოდი რა მექნა, როგორ გამეთბო მიტოვებული ბავშვისთვის სული, როგორ გავმხდარიყავი ჯადოქარი და როგორ დამებრუნებინა დედა შვილისთვის.

გავიდა რამდენიმე თვე. საოცარი სურვილი მწვავდა, გამეგო ბავშვის მდგომარეობა. მენატრებოდა, მინდოდა ერთხელ კიდევ ჩამეხედა მის პატარა ჭკვიან თვალებში და მივფერებოდი, მაგრამ მრცხვენოდა, ვერ ვბედავდი წასვლას, იქნებ ბავშვის არსებაში მივიწყებულიც კი ვიყავი. სწორედ ამ დროს რედაქტორმა რეპორტაჟის დაწერა დამავალა უპატრონო ბავშვთა სახლიდან. მეც, რა თქმა უნდა, წყნეთის ბავშვთა სახლს მივაკითხე. აღმზრდელებმა ჩემი მისვლის მიზეზი რომ გაიგეს, ერთმანეთს არ აცლიდნენ თავიანთი სატკივარის თქმას, სალომე კი არსად ჩანდა, ბოლოს ვეღარ მოვითმინე და ერთ-ერთ აღმზრდელს მის შესახებ ვკითხე. ძალზე დამწუხრებულმა მითხრა, სალომეს ნერვული სისტემა დაუზიანდა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დავაწვინეთო. მას შემდეგ, რაც დედამ ინახულა, ბავშვი საოცრად შეიცვალა, ეგოისტი გახდა, გულჩათხრობილი. ხანდახან ღამე თქვენს სახელს წამოიძახებდა, შველას გთხოვდათ, რამდენჯერმე გაპარვა სცადა, ღამით სიცივეში ეზოდან ძლივს შემოვიყვანეთ. კინაღამ ჭკუიდან შეგვეშალა, ექიმმა გვირჩია, ცოტა ხნით საავადმყოფოში მოგვეთავსებინა.

მალე წამოვედი, გადავწყვიტე ბავშვი აუცილებლად მენახა. მოვდიოდი გზაში და მწარედ ვფიქრობდი, თუ რამხელა ტკივილი მივაყენე საცოდავ ბავშვს, იქნებ არც ახლა ღირდა, რომ მენახა, მაგრამ თვალებიდან ვერ ვიშორებდი მის ნაღვლიან მზერას, შენ ხომ კეთილი ჯადოქარი ხარ, ჩემს დედიკოს ხომ ნახავო.

მის პალატას იოლად მივაგენი. სალომე კედლისკენ შებრუნებულიყო და პატარა თითებით რაღაცას ხაზავდა.

— სალომე, როგორა ხარ, სალომე,— ფრთხილად შევახე ხელი. დედაო, მოულოდნელად დამიძახა და გულში ჩამეკრა. კარგა ხანს ბავშვი მკერდიდან ვერ მოვიგლიჯე. მკოცნიდა ხელებზე, ყელზე, ლოყებზე, თვალებში, ბავშვი საოცრად აღგზნებული იყო. დავიბენი, ცრემლი ყელში მებჯინებოდა. პალატაში ექიმები შემოვიდნენ. ყველამ დედად ჩამთვალა და საყვედური შემომაპარეს, სადა ხართ აქამდე, თქვენს ლოდინში ბავშვს სული დაელიაო. რა მეპასუხა, აღარ ვიცოდი, ბავშვი კი ისე იყო გახარებული, ვერავის ამჩნევდა. თქვენ მართლა ჯადოქარი ყოფილხართ, ჩემი დედიკო ხომ მაჩვენეთ, ახლა კი ჩემს დედიკოს უთხარით, შინ წამიყვანოსო.

— სალომე, — ვუთხარი ბავშვს, —შენი დედიკო ძალიან შორს წავიდა, შენ რომ დიდი გოგო გაიზრდები, მაშინ ინახულე-მეთქი.

— შენ მაინც ნუ მიმატოვებ, იყავი რა ჩემი დედიკო! — შემომევედრა.

„რაღაც ბურთივით მომებჯინა ყელში, ყვირილი მინდოდა, ვერ ვყვიროდი, ტირილი მინდოდა და ვერ ვტიროდი, ექიმმა ჩვენი აღელვება რომ შეამჩნია, სასტიკად ამიკრძალა მეორედ ბავშვის ნახვა, მძიმე ნაბიჯით გამოვედი საავადმყოფოდან, ეზოში გასვლისას სალომეს ფანჯრებს ავხედე და საოცრება — ბავშვი თეთრი სალამურით ფანჯრის რაფაზე ამძვრალიყო, პატარა ცხვირი სარკმელზე მოებჯინა და საწყალი თვალებით მაცილებდა, მას შემდეგ სალომე აღარ მინახავს, ყველგან დავეძებ, მაგრამ ამაოდ! ცუდს ვერაფერს ვფიქრობ, ისევ კარგი მინდა ვიფიქრო: სალომე დედამ წაიყვანა, თავის და-ძმებთან ერთად ზრდის და მინდა, რომ ძალიან ბედნიერი იყოს, როცა მისი სიტყვები ღამით გამახსენდება, დიდხანს მიტყდება ძილი: ჩემო ყველაზე ლამაზო, ყველაზე კეთილი დედიკო, გელოდები, მოდი რა!

ნინო ჯღარკავა

* * *

ოცი წელი გაფრინდა...  
რა მოასწარი,  
რა იგრძენი,  
რა ისწავლე? —  
დედობა მოვასწარი,  
დედაშვილური მადლი ვიგრძენი,  
შვილის სიყვარული ვისწავლე!  
. . . . .  
ცოტაა?!

## ბედნიერო გულო

ასჯერ დაფლეთილო,  
მაგრამ მთელო.  
ასჯერ შერისხულო,  
მაგრამ შეუდრეკო.  
ათასჯერ სევდიანო,  
მაგრამ იმედიანო.  
ათასჯერ განწირულო,  
მაგრამ რწმენიანო —  
ჩემო უსუსურო გულო!..

## შენი გულისთვის

შენი გულისთვის  
არ გამარტივდება სამყარო,  
შენი გულისთვის  
არ დაიჩოქებენ მთები,  
შენი გულისთვის  
არ შეწყვეტენ შრიალს ნორჩი ხეები.  
შენი გულისთვის  
არ დაიწყებენ ღრუბლები ხეტიალს,  
შენი გულისთვის  
გავარვარებულ მიწას არ გააგრილებს  
წვეთები წვიმის...  
მხოლოდ მე შევძლებ გარდავიქმნა  
შენი გულისთვის.

მანანა ბეგაშვილი



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



ელენე დიდიმამიშვილის მშობლები

თვითონ არ ჰქონდა დალხენილი ცხოვრება, მაგრამ, გულისჯიბით ყოველთვის დაატარებდა გაჭირვებულთა სიას და შეძლებისდაგვარად, როგორც კი ხელფასს მიიღებდა, უანგაროდ ეხმარებოდა.

ახალციხეში მისი თაოსნობით უპატრონო ბავშვთა თავშესაფარი გაიხსნა. მანვე დააარსა ქალაქში პირველი სახალხო კოოპერატივი „მესხეთი", რომლის შემოსავალიც ხალხსვე ხმარდებოდა.

ზაქარია დიდიმამიშვილის მოღვაწეობაზე უსათუოდ უნდა დაიწეროს წიგნი, მის შესახებ ხომ უამრავ საინტერესო ცნობას ინახავს ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი).

იგი იყო ნამდვილი მამულიშვილი. თუნდაც ის რად ღირს, რამდენი წიგნი გადასცა რაბათის ბიბლიოთეკას (დიდიმამიშვილებს ძალზე დიდი საოჯახო ბიბლიოთეკა ჰქონიათ), ან როგორ ჩაუდგა სათავეში ქართულ თეატრს, სადაც პატრიოტულ თემაზე იდგმებოდა სპექტაკლები (მათ შორის საბავშვოც), რომლის მოითხოვს, ის კი არა, ზოგიერთ ისტორიკოსს აქედან მთლიანი თავები აქვს გადაწერილი და მითვისებული...

არადა, რამდენ უტყუარ ცნობას ინახავს ზაქარია დიდიმამიშვილის დღიურები. აქ მაშინდელი მესხეთის ყოველდღიური მაჯისცემა იგრძნობა, მისი დიდი ტრაგედიები. ყოველ წერილს კომენტარები და დასკვნები აქვს დართული და საოცარი სიზუსტით უპასუხებს დღევანდელობას. მართლაცდა, უტყუარი წინათგრძნობა ჰქონია — მის მიერ ნაწინასწარმეტყველევი ყოველივე უკლებლივ აღვისრულდა.

სამწუხაროდ, იმ ავბედით 1937 წელს, უამრავი საინტერესო მასალა, წერილი თუ პუბლიკაცია გაანადგურა დედამ, რათა ნაციონალიზმში არ დასდებოდათ ბრალი — ზაქარია დიდიმამიშვილის თითოეული სტრიქონი ხომ საქართველოს სიყვარულით იყო გამსჭვალული...

სულმთლად ახალგაზრდა კაცმა უამრავი საქვეყნო საქმის გაკეთება მოასწრო.

# ფიქრი მაღალ საგაზრდილოზე

სულ ხუთი წლის იყო ელენე დიდიმამიშვილი, როცა პირველი ლექსი შეთხზა. ლექსი მისმა უფროსმა დამ ჩაიწერა...

მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა.

ელენე დიდიმამიშვილი ისეთ გარემოში გაიზარდა, რომ უცილობლად შემოქმედი უნდა ყოფილიყო...

დაიბადა ახალციხეში, დიდიმამიშვილების ცნობილ ოჯახში. მშობლები — ზაქარია დიდიმამიშვილი და როზა გურგენიძე, ორივენი გიმნაზიადამთავრებულნი (მამას ეკონომიკის კურსებიც ჰქონდა გავლილი), დიდად განათლებულნი და ხელოვნების მოყვარულნი დიდ საზოგადო მოღვაწეობას ეწეოდნენ მესხეთში.

ქალბატონ ელენეს მამა იმხანად საქართველოსა და რუსეთში საქონლის გაცვლა-გამოცვლას თაოსნობდა, უამრავი პასუხსაგები საქმეების გარდა იყო გაზეთების „სახალხო საქმისა" და „სახალხო გაზეთის" კორესპონდენტი, პრესას რეგულარულად აწვდიდა ცნობებს იმდროინდელი მესხეთის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

ზაქარია დიდიმამიშვილის ქველმოქმედება თბილისშიც ცნობილი იყო. შემოსავალიც უკლებლივ ღარიბ სტუდენტებსა და რაბათის დედათა სასწავლებელს ხმარდებოდა.

დიდიმამიშვილები კათოლიკეები არიან. საერთოდ საქართველოში კათოლიკეთა წირვის მთელი რიტუალი ლათინურ ენაზე მიმდინარეობდა, ზაქარია დიდიმამიშვილის თაოსნობით იგი ქართულ ენაზე ითარგმნა.

„ზარაქალა ერისკაცოო" და შემდეგ — „კოწია გამსახურდია" ასე მოუწერია მისთვის კონსტანტინე გამსახურდიას. დიდი მეგობრობა აკავშირებდა, თურმე, ზაქარიას იოსებ იმედაშვილთან, იოსებ გრიშაშვილთან. სამსონ ფირცხალავასთან, და ბევრ სხვა ქართველ მამულიშვილთან...

ორი წლის იყო ელენე დიდიმამიშვილი როცა მამა გარდაეცვალა (1922 წელს, სულ ახალგაზრდა, 39 წლის)... მამისაგან დარჩა მხოლოდ საინტერესო პუბლიკაციები, კორესპონდენციები, დღიურები „ახალციხის დღეების" სათაურით, რომელიც ახალციხის მუზეუმში ინახება. აქედან დასტამბულია თითქმის ყველა მასალა „სახალხო გაზეთსა" და „სახალხო საქმეში" (დაცულია საჯარო ბიბლიოთეკაში). სამწუხაროდ, მამისეული დღიურები მუზეუმში სავალალო მდგომარეობაშია, სათანადო მოვლა-პატრონობას დიდი სიამაყე იგრძნობა, როცა ქალბატონი ელენე მამაზე საუბრობს.

ბავშვობიდანვე უყვარდა მამის სამუშაო ოთახში ყოფნა, რომლის კედლებსაც ქართველ მწერალთა პორტრეტები და გიგო გაბაშვილის ნახატები ამშვენებდა. აქ იყო იშვიათი წიგნები, ნივთები... იჯდა ჩუმად და აღიქვამდა მამისეულ ნივთებს.

დიდი ზეგავლენა მოახდინა ოჯახურმა ტრადიციამ ელენე დიდიმამიშვილის ცხოვრებაზე, და განა მარტო მასზე, ოთხი დედმამიშვილიდან (ქალბატონი ელენე უმცროსია), ოთხივემ უანგაროდ იმოღვაწა ხალხისათვის: და ექიმი, ძმები — ეკონომისტი და პედაგოგი, თვითონ — პოეტი... მათგან მხოლოდ ქალბატონი ელენე შემორჩა, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, კვლავაც ასე მხნედ და ჯანსაღად!

70 წელი შეუსრულდა წლეულს ელენე დიდიმამიშვილს. ჟურნალ „მანდილის" რედაქცია ულოცავს იუბილეს და უსურვებს შემოქმედებითი ცხოვრების აღმავლობას...

მამულის სიყვარული — ეს არის მისი შემოქმედების ძირითადი თემა.

ბავშვობაში დაწერილი ლექსი „უკვდავა" თითქმის ყველა კრებულში აქვს შეტანილი. ამ უბრალო, ფესვძლიერ ყვა-

ვილში, რომელსაც სულხან-საბა „მოლს კლდისას“ უწოდებს, პოეტს განზოგადებული აქვს მშობლიური მესხეთი და მთლიანად საქართველო:

„აქ მზე-ქალის გამოქვაბულს
შევრჩი, ვითა სახსოვარი,
თამარივით უკვდავი ვარ,
თამარივით სხივმთოვარი.“

ეს უკვდავას ძახილია, ვარძიაში, თამარის გამოქვაბულთან ამოსულის... „უკვდავა“ ჰქვია მისი ლექსების ერთ-ერთ კრებულსაც.

ელენე დიდიმამიშვილის შემოქმედების ერთი მესამედი ნაწილი მესხეთს — საქართველოს კულტურის აკვანს აქვს დათმობილი, სადაც ჩვენი ერის ძლიერი სული ბობოქრობს.

აი, რამდენიმე სტრიქონი ლექსიდან „ვარძია“:

„მე მქონდა ქართლის სვებედთა
ვალი,
კაცთა მფარველად გამელო ხელი“,

ანდა:

„ვიდექ დარაჯად... ტაოს და
კლარჯეთს
ვჭვრეტდი ვარდთაგან ლაღად
შემოსილს,
ვიყავ მძლეთა—მძლე მარადი,
გამრჯე,
ვით ქვაკუთხედი საქართველოსი!..“

და შემდეგ ფილოსოფიურ ხედვაში გადადის:

„დრო დედამიწის ქროლვაა მხოლოდ,
ჰქრის, რადგან გული ცხელია მისი,
ერია მხოლოდ ჩემი სიმბოლო
და სუნთქვა მისი, წრფელია, ვიცი.“

ელენე დიდიმამიშვილის პოეზია მთლიანად ლირიკაა. მის შემოქმედებაში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა სატრფიალო ლირიკას, აგრეთვე საგმიროს, ფილოსოფიურს, სამოქალაქოს...

სიცოცხლისადმი დაუშრეტელი ლტოლვა გამოსჭვივის თითქმის მის ყველა ლექსში, თუნდაც „ჩემი ფოცხოვი მცირე“:

„ეს სიმბოლოა სულის,
დაუდგრომელი წინსვლის,
სადაც სიმართლე გვიძღვის,
არის რისხვაც და ფიცი!..“

მკითხველი მალე მიიღებს ელენე დიდიმამიშვილის მეთერთმეტე კრებულს.

უნდა ითქვას, რომ პოეტი ზედმიწევნით ფლობს ლექსის ტექნიკას. მისი ლექსები ძალზე მუსიკალურია, ამიტომაც პოეტის ტექსტს უსადაგებენ თავიანთ მუსიკას ქართველი კომპოზიტორები ოთარ თევდორაძე, სანდრო მირიანაშვილი, ნუნუ გაბუნია, რევაზ გაბიჩვაძე, სულხან ნასიძე, მერი დავითაშვილი, შოთა მილორავა, იოსებ კეჭაყმაძე და სხვანი და სხვანი...

მასვე ეკუთვნის რევაზ გაბიჩვაძის ოპერა „ნანას“ ლიბრეტო, რომელიც თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში დაიდგა. დიდხანს იდგმებოდა აგრეთვე სახალხო თეატრებში მისი მუსიკალურ-დრამატული კომპოზიცია „შოთა რუსთაველი“.

ელენე დიდიმამიშვილის შემოქმედება მრავალ თარგმანს, ნარკვევს, ჩანახატს, ლიტერატურულ თუ თეატრალურ წერილებს მოიცავს. კვლავაც ნაყოფიერად მუშაობს პოეტი ქალი, მისი მთავარი ფიქრი სამშობლოა, მისი საგაზრდილო:

არცა განცხრომა, არც დასვენება
არ მინატრია,
ყოველ იმედზე თეთრად თენება
ხვალის მადლია,
არ მჩმლერია განდიდებით სხვა
რამ კილოზე,
განცხრომა ჩემი ფიქრია მაღალ
საგაზრდილოზე“.

**მანანა ზარიძე**

---

ელენე დიდიმამიშვილი



## საკუთარი თავისადმი

იყავ უბრალო,
გულისხმიერი,
არც განზრახ მორცხვი,
არც ჟონგლიორი...
განაწამები —
სულით ძლიერი,
მუდამ აღმართით
ამოდიოდი...
გენადა მარად
სათქმელი რაღაც...
თითქოს პატარა,
და თითქოს დიდი...
შენ არასოდეს
იცოდი დაღლა, —
და ამით მკრეხელთ
სიძულვილს ჰგვრიდი...
...და შენი ჩუმი
ურვა, ტირილი...
ჩაკეტილ ფიქრთა
უხმოდ ტარება —
უცნაურ ლტოლვით,
მუდამ ტკივილით
წინ გიძღვებოდა
უცხო დარებად...
...წუთისოფელის
ავბედით გზებით —
მავნეთა თვისი
ეზლევებათ მსჯავრი...
შენ კი... უნრფელეს
განგების ნებით —
ბოლომდე უნდა
აზიდო ჯვარი...

## როს საქართველოს დროშის ფერს ვუმზერ...

(ციკლიდან „მამისეულ საოჯახო ბიბლიოთეკაში“)

როს საქართველოს
დროშის ფერს ვუმზერ,
სადღაც, სიზმრებში
ცოცხლდება მამა...
და... ცის და მიწის
საოცარ შუქზე
ის ხალხს სიკეთეს
ურიგებს კვლავაც...
თურმე, ჰქონია
ხიბლი ისეთი, —
ვერ ივიწყებენ
მის ხმას და ამაგს...
დგას ჩემი დიდი
ინტელიგენტი —
ლამაზი მამა...
ციხის ნანგრევზე
ფრიალებს დროშა —
საქართველოის
სამფერი დროშა
და რაღაც უცხო
დიდება მოსავს...
დიდება მოსავს...

## მილოცვა

ქალთა პრესის ოჯახს ორი ჩვენი შევსება — „ქალთა გაზეთი" და ჟურნალი „ბაია".

ვულოცავთ ჩვენს უმცროს დებს დაბადების დღეს და ვუსურვებთ წარმატებას საქართველოს ქალთა საკეთილდღეოდ.

ჟურნალ „მანდილის" რედაქციის კოლექტივი და სარედაქციო კოლეგია

## გრუსის დედა

ინსპექტორი ისტორიაში სცდიდა ბიჭების კლასს. მასწავლებელს გაფრთხილებული ჰყავდა ბავშვები, არ უპასუხოთ მანამ, სანამ პასუხის სისწორეში არ დარწმუნდებოდნენ.

აბა, ახლა მითხარით, ვინ იყო დიდი შოტლანდიელი გმირის — რობერტ ბრუსის დედა? — იკითხა ინსპექტორმა და მთელ კლასს შეხედა. პასუხი არ იყო. ბოლოს მასწავლებელს სიხარულით გული აუფანცქალდა, იქვე მჯდარმა ბიჭმა ხელი ასწია.

— აბა, ჩემო ბიჭიკო, ვინ იყო ბრუსის დედა? — ჰკითხა ინსპექტორმა.

— მისის ბრუსი, სერ! — უპასუხა ბიჭმა.

## იუმორი

• • •

ერთხელ ცნობილი მომღერლის ენრიკო კარუზოს მანქანას ნიუ-იორკის ახლოს რაღაც გაუფუჭდა და იგი ერთ ფერმერს ესტუმრა. ერთმანეთს გამოეცნაურნენ. მასპინძელმა ვინაობა გამოკითხა. მომღერლის გვარი რომ გაიგო, ფეხზე წამოხტა და წამოიყვირა:

— მე ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ თქვენნაირ კაცს ჩემს სამზარეულოში ვნახავდი. კარუზო! დიდი მოგზაური, რობინზონ კარუზო!

• • •

კონან დოილი ჩავიდა ბოსტონში. ჩაჯდა ეტლში. მეეტლემ მაშინვე იცნო მწერალი და მგზავრობისათვის ფული არ გადაახდევინა.

— გეთაყვა, მე თქვენი ლექციის ბილეთი მირჩევნია, — უთხრა მან.

კონან დოილმა გაიცინა.

— მითხარი, როგორ მიცანი და მთელი ოჯახისთვის მოგცემ ბილეთებს.

— გმადლობთ სერ, თქვენ სამოგზაურო ჩანთაზე წერია: „კონან დოილი".

ხათუნა გელაშვილი

## საოჯახო სუფრისათვის

### ქათმის რულეტი „სახალისო"

მოზრდილი, უცხოური ქათამი შუაზე გაჭერით ისე, როგორც შესაწვავად ჭრით ხოლმე. შემდეგ ყოველი ნაწილი დასერეთ დანით და ეცადეთ ძალიან მონდომებით გამოაცალოთ ძვლები. ქათმის მთლიანობა რომ არ დაირღვეს. ძვალგამოცლილი ქათამი მოათავსეთ ხორცის საჭრელ ფიცარზე და ფრთხილად დაბეგვეთ სპეციალური ჩაქუჩით ან როდინის ქვით ისე, რომ კანი არ მოშორდეს ხორცს. შემდეგ თანაბრად წაუსვით სატენი, გადაახვიეთ მრგვლად (ძეხვისებურად) და შეკარით ძაფით. [illegible] მაგარი კოჭის ძაფით [illegible] ცხიმიან ტაფაზე და [illegible] რაში შესაწვავად. [illegible] გაჭრის შემთხვევაში თავდაპირველ ჭურჭელში.

სატენი მოამზადეთ შემდეგნაირად: 2 ჩაის კოვზი [illegible] სუნელი, ნახევარი ჩაის კოვზი პილპილი, ან უფრო ცოტა (ან თქვენი გემოვნებით), [illegible] რიც) ეს ყველაფერი აურიეთ 100 გრამ კარაქს.

### ჰაეროვანი ბისკვიტი-კექსი

6 მომცრო ზომის ან 5 დიდი კვერცხი, 1 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი, დანის წვერით მარილი, ორი თითის ალება ვანილი და 1 ლიმონის ცედრა მოათავსეთ ემალის ქვაბში, ათქვიფეთ მიქსერით, შეურიეთ შერბილებული, წინასწარ დაზელილი 150 გრამი კარაქი და განაგრძეთ თქვეფა 2-3 წუთი. შემდეგ ნელ-ნელა დაუმატეთ 1 ჩაის ჭიქა გაცრილი, უმაღლესი ხარისხის ფქვილი და კვლავ თქვიფეთ 2-3 წუთი. მიღებული მასა მოათავსეთ ცხიმწასმულ და ფქვილმოყრილ ყალიბში (უმჯობესია ყალიბი იყოს მოგრძო, კექსის საცხობი). შედგით ზომიერი სიმხურვალის მქონე გაზქურაში. ცხობის ხანგრძლივობა 1 საათი. ბისკვიტი შეამოწმეთ ასანთის ღერით, გულში ცომი რომ არ დარჩეს და თუ საჭიროდ ჩათვლით კვლავ დატოვეთ ქურაში 10-15 წუთით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი დახმარების ხელი ჯავახეთს

წლეულს, 20-21 ივლისს, რესპუბლიკის ქალთა საბჭოს წარმომადგენლები ვიყავით ახალქალაქის რაიონის სოფლებში: კოთელიაში, ოკამსა და აფნიაში, სადაც ჩასახლებული არიან აჭარლები. ჩვენც, რომელიც შედგებოდა 29 ქალისაგან, იყვნენ მეცნიერების, ხელოვნების, მრეწველობის, მედიცინის, ვაჭრობის დარგის წარმომადგენლები, მათ შორის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები: თ. დეკანოსიძე, ე. ქემერტელიძე, თბილისის საზოგადოება „ცოდნის" თავმჯდომარის მოადგილე ს. გამრეკელი, თბილისის ქალთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ბერაძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. თოიძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ე. ხავერელიძე, სათამაშოების ფაბრიკის, 28-ე პოლიკლინიკის, საფეიქრო სამმართველოს, კერამიკული კომბინატის, სპორტინვენტარის ფაბრიკის, პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენელი ქალები.

შეხვედრები მოეწყო როგორც ჩასახლებულ, ასევე ადგილობრივ მკვიდრ ოჯახებთან. ყველგან — ქალებთან ერთად შეხვედრაში მონაწილეობდნენ კაცებიც. აღსანიშნავია, რომ მშენებლებმა შეასრულეს უდიდესი სამუშაო, ისიც უნდა ითქვას, რომ აშენებული სახლები მეტად კარგად არის განლაგებული და საცხოვრებლად მოსახერხებელია. ამას ერთხმად აღნიშნავდნენ ოჯახის დიასახლისები. მეტად კეთილმეზობლური დამოკიდებულებაა ჩამოსახლებულ და ადგილობრივ ოჯახებს შორის. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ პრობლემები, რომლებიც ყველა სოფლისთვის არის დამახასიათებელი: არ არის წყალი, გასაყვანია შიდა გზები, ამჟამად მშენებლობა თითქმის შეჩერებულია.

არც ერთ სოფელს არ ჰყავს ექიმი, არა აქვთ ჯანპუნქტი, კლუბი, საბავშვო ბაღი. აკლიათ მასწავლებლები, ჩამოსული დედები არ იღებენ კუთვნილ სახელმწიფო დახმარებას.

ჩამოსახლებული ოჯახის წევრებს შორის არავითარი კულტურული თუ საგანმანათლებლო მუშაობა არ წარმოებს. ხალხი ითხოვს არა მარტო მატერიალურ დახმარებას, არამედ სულიერსაც — შეხვედრებს ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, მხატვრულ კოლექტივებთან, კინოსურათების ჩვენებას და სხვა.

მოსაფიქრებელია ჩამოსახლებული ოჯახების შრომისუნარიან მოქალაქეთა დასაქმების საკითხი. ჯანღონით სავსე კაცები და, ნაწილობრივად ქალები, არაფრით არიან დასაქმებული (საკუთარი ეზო-კარმიდამოც კი მოუწესრიგებელია). ასევე ცარიელია ბევრი დამთავრებული სახლი.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ამ ძირძველ ქართულ სოფლებში მცხოვრებ ოჯახებს. ზოგიერთი მათგანის სახლები ნახევრად მიწურია, ნესტიანია და აუარეს მდგომარეობაშია. ალბათ ესეც არის იმის მიზეზი, რომ ამ სოფლებში ძირითადად მოხუცები ცხოვრობენ, ახალგაზრდობა კი ვერ ჩადის იმის გამო, რომ ელემენტარული ცხოვრების პირობები არ არსებობს.

ამასთან, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ადგილობრივი ქართული მოსახლეობის მოკრძალება. ყოველგვარი საკითხის წამოჭრის დროს მათი თხოვნა ასეთი სიტყვებით თავდებოდა: რა ვქნათ, განა არ ვიცით, რომ ქვეყანას უჭირს. ამასთან დაკავშირებით ხომ არ შეიძლება განვიხილოთ საკითხი იმის თაობაზე, რომ თუ ცარიელი სახლების გამოყენება მოხერხდება, ნაწილი მაინც გადაეცეს ადგილობრივ მოსახლეობას.

ყველა სოფლის თავკაცებს: კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, სკოლის დირექტორს და ქალთა საბჭოს თავმჯდომარეს მოსახლეობისათვის გადავეცით საკმაო რაოდენობის წიგნები, სათამაშოები, სპორტული ფორმები, წამლები და სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელი.

რაიონში ყოფნისას მეგზურობას გვიწევდა რაიონის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე თამარ ლაზარაშვილი, რომელიც იცნობს თითქმის ყველა ჩამოსახლებულ ოჯახს და ძალიან ბევრს აკეთებს მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამ ღონისძიების ორგანიზაციაში დიდი დახმარება გაგვიწიეს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურმა საბჭომ, საფეიქრო სამმართველომ, რადიოსა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტმა და იმ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ ღონისძიებაში. ჩვენ შესაბამის სამინისტროებს მივაწოდეთ ინფორმაცია ამ სოფლებში არსებული პრობლემების შესახებ.

იმედი გვაქვს ყველა, ვისაც ეხება ეს, გულთან მიიტანს ქართველი ხალხის ამ დიდ სატკივარს და ყველაფერს იღონებს ჯავახეთის, საქართველოს ამ ძირძველი კუთხის, აღდგენა-განვითარებისათვის.

ხ. გელაშვილი

# გამოიწერეთ ჟურნალი „მანდილი“

ძვირფასო ქალებო! შარშან თქვენ 177 000 იყავით — ჩვენი ხელმომწერლები. წლეულს კი რატომღაც შემოგვწყერით. ალბათ ამაში ჩვენც მიგვიძღვის ბრალი. ჟურნალი გამოდიოდა დაგვიანებით, რა თქმა უნდა, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (სტამბის ტექნიკური გაუმართაობის, ქაღალდის უქონლობის და სხვა ხელისშემშლელი პირობებით გამოწვეული).

ახალი წლიდან ჟურნალში მეტ ადგილს დავუთმობთ თანამედროვე ქალის პრობლემებს; ბავშვთა აღზრდას— დაწყებული დაბადებიდან — სკოლის დამთავრებამდე, ვისაუბრებთ ოჯახურ საკითხებზე — ცოლქმრულ ურთიერთობებზე, რისთვისაც მოვიწვევთ ცნობილ ფსიქოლოგებს, სოციოლოგებს, სექსოლოგებს, შევასწავლით ქსოვას, ჭრა-კერვას, სუფრის გაწყობას, გემრიელი კერძების მომზადებას, ოჯახის მოვლა-პატრონობას, ბინების მოწყობას (არქიტექტორის საუბრებით), საავარაკო და საბოსტნე ნაკვეთების გონივრულად გამოყენებას, გაგიმხელთ სილამაზის შენარჩუნების საიდუმლოებას, შემოგთავაზებთ კოხტად ჩაცმის რჩევებს, რა თქმა უნდა, ყველა საკითხს ველარ ჩამოვითვლით, იგი შორს წაგვიყვანდა. ისე კი ერთს გთხოვთ — გამოგვიგზავნეთ თქვენი სურვილები, კიდევ რაზე გსურთ რომ გესაუბროთ!

ძვირფასო ქალებო! კვლავ შეგახსენებთ: ჟურნალი ელოდება თქვენს გულითადობას და ხელმოწერას. ჯერ კიდევ არ არის დაგვიანებული. დეკემბერ-იანვრის თვეშიც შეგიძლიათ ჟურნალის გამოწერა და მას მიიღებთ თებერვალ-მარტიდან.

რა ვუყოთ, რომ აქამდე ვერ მოახერხეთ ჩვენთვის ერთგულების დამტკიცება, იქნებ გადაგავიწყდათ, ან დღეს — ხვალეობაში დრო გაგეპარათ, ანდა სხვაგან იყავით წასული და...

ჯერ კიდევ არ არის გვიან.

# კროსვორდი



თარაზულად: 1. ცეცხლზე გამხმარი პურის ან ნამცხვრის ნაჭერი. 7. ხის გრძელი დგამი. 8. ერთგვარი ვიწრო შარვალი. 9. დიპლომატიური კორპუსის მეთაური. 12. ჯ. ჯოისის რომანი. 16. ქართველი მხატვარი. 18. საფრანგეთის ქალაქი. 19. ბამბის ბუსუსიანი რბილი ქსოვილი. 20. ქართველი ბალერინა. 22. რუსეთის ფლოტის კაპიტან-კომანდორი დანიელი ზღვაოსანი. 23. რაიმე საკითხთან, საქმესთან დაკავშირებული ერთად შეკრებილი დოკუმენტი. 25. მაღლა დასაკიდი სასანთლე, ჭაღი. 29. ცირკის ან ესტრადის მსახიობის მიერ შესრულებული სახუმარო ნომერი. 30. განცხადება სპექტაკლის, კონცერტის ან ლექციის შესახებ. 31. ქალაქი ფილიპინებზე. 32. ისტორიული ოლქი საფრანგეთში.

შვეულად: 2. გემების ღუზით გასაჩერებელი მარჯვე ადგილი ნავსადგურში. 3. ცხენებშებმული მრავალადგილიანი კარეტა ძველად. 4. შენობაში ამოყვანილი ღია აივანი. 5. სავარაუდო შესაძლებლობა. 6. სოფელი მცხეთის რაიონში. 10. შემინული აივანი. 11. ზნეობრივი დარიგება. 13. მალამო. 14. დედამიწასთან ყველაზე უფრო ახლო მთვარის ორბიტის წერტილი. 15. ისლანდიის პარლამენტი. 17. ტბა ამერიკაში. 21. გ. ნახუცრიშვილის პიესა. 24. აჭარის სოფელი. 26. ფრანგი ესტრადის მომღერალი ქალი. 27. მადრიდის სამხატვრო მუზეუმი. 28. ჯადო, გრძნება.

შეადგინა ციალა ამაშუკელმა

რედაქციის მისამართი — მ. კოსტავას ქ. № 14. ტელეფონის №№: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებების: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის — 93-25-64, ლიტერატურისა და ხელოვნების — 93-98-53, კულტურისა და ყოფაცხოვრების — 93-98-50, მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, ტექნიკური რედაქტორის — 93-98-58, საერთო განყოფილების — 93-98-54 მასალები გადაეცა ასაწყობად 5.10.90 წ., ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.11.90 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8, ტირაჟი 177 000. შეკვ. 2147. ფასი 30 კაპ. Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8.

## ჩვენი ქვირფასი სტუმარი ეთერ ფაღავა



ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმც იგი არ თვლის თავს სტუმრად — საქართველოს სამშობლოდ მიიჩნევს და ასეც არის. იგი ხომ ნოე ჟორდანიას შვილიშვილია.

ოქტომბრის თვეში საფრანგეთის გამოჩენილი მოცეკვავე და ქორეოგრაფი ეთერ ფაღავა თავის მეუღლესთან, ცნობილ ფრანგ ტრუბადურთან ჟაკ დუესთან და თავის საბალეტო დასთან ერთად თბილისს ეწვია. გასტროლებმა დიდი წარმატებით ჩაიარა.

ნ 140/2

ფასი 80 კაპ.

ინდექსი 76178

ეროვნული ბიბლიოთეკა



